# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 24 შაბათი, 24 აგვისტო 1918 წ. № 24



ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## თბილისის კონსერვატორია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ., № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში, დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდება ნახევარის წლობით. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს

6—5

## განცხადება

ამ მოკლე ხანში ქალ. თბილისში შესდგება პაიებზედ დამყარებული ამხანაგობა

„კოლხიდა“,

კინემატოგრაფიულ ოტელს გახსნით, სადაც იქნება გადაღებული სურათები კავკასიის ცხოვრებიდან. შეძენილია ყოველივე საჭირო მასალები. ამხანაგობის დამაარსებელი ტ. ი. გადელია ცხოვრობს: პასტეროვის ქ., № 4, სადაც შეიძლება დაწვრილებითი პირობების შეტყობა ყოველ დღე.

3—3

## განცხადება.

საამქრო კომისია ყოფილი პოლიციის, ეხლა მილიციის კოოპერატივისა, ამით აცხადებს, რომ კვირას, 25 ამ აგვისტოს, დღის 12 საათზე, ეფიმოვის ცირკის შენობაში, მიხაილოვის ქუჩაზე—არის დანიშნული წლიური საზოგადო კრება ხსენებულ კოოპერატივის წევრთა.

დღის წეს-რიგი: 1. მოხსენება აჯკისა 2. არჩევნები გამგეობის წევრთა; 3. არჩევნები სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების; 4. მიმდინარე საკითხები.

თუ აღნიშნული კრება არ შესდგა, მაშინ იმავე დღეს (25 აგვისტოს) პირველ საათზე დანიშნულია ხელმეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (§ 33 უსტავისა).

2-2

## განცხადება.

ამხანაგობა პაიებზე „ობუვ“ ამხანაგობა პაიებზე

თანახმად ამხანაგობის წესდების დამტკიცებისა 15 აგვ. 1918 წ. № 110531, მოკლე ხანში ამხანაგობა ხსნის ქარხანას მეხანიკურ და ხელით ნაკერავ ფეხსაცმელისას. ძირითადი თანხა 500.000 მან. გაყოფილია 1.000 პაით, თითო—500 მან. საერთო კრების დადგენილების თანახმად, უკანასკნელი დღე საპაიო ფულის შემოტანისა დანიშნულია 25 აგვ. ამ ვადის შემდეგ დარჩენილი პაები გარდაეცემა ახლად ჩაწერილ ამხანაგობის წევრთ. დარჩენილ პაების რიცხვი განსაზღვრულია. საჭირო ცნობებისთვის დროებით შეიძლება მიმართოთ: მიხაილოვის პროსპ., № 100, ბინა 4, 9—3 საათამდე. საერთო კრება დანიშნულია კვირას, 25 აგვისტოს, პროექტორ „აპოლოს“ შენობაში საღამოს 10 საათზე.


## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი.

1914 წ. დეკემბრის 16-ის დროებითი კანონის (ზოგიერთ ეხლანდელ გადასახადთა გადიდების) მოქმედების განგრძობისა 1919 წლის იანვრის 1-დე.

1. მოქმედება 1914 წლის დეკემბრის 16-ის დროებითი კანონის 1 განყოფილებისა—ზოგიერთ ეხლანდელ გადასახადთა გადიდებისა-(კანონთა კრებული 1914 წ. № 366. მ. 3544) გაგრძობილ იქნეს 1919 წლის იანვრის 1-დე

2. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლ. იანვრის 1-დან. 1918 წ. აგვისტოს 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრისა.

გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი ს. ი. ახვლედიანი განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან, თავის თხოვნით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი მ. ს. ლორთქიფანიძე დანიშნულ იქმნა გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორად, 15 აგვისტოდან.

ხელს აწერს მინისტრის ამხანაგი კ. გვარჯალაძე.

საქმის მწარმოებელი ზ. დავითაშვილი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მართველობისა.

„22„ აგვისტო 1918 წ.

№ 25

თამარა ალექსანდრეს ასული მიქაბერიძე მოწვეულ იქნეს მბეჭდავ მანქანაზე მომუშავედ 1918 წლის 5 ივლისიდან იმ ჯამაგირით, რომელიც აღნიშნულია შტატების მართველობაში.

მთავრობის საქმეთა მმართველი „ს. ჯაფარიძე.“

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა მიწათ მოქმედების სამინისტროს.

21 აგვისტოს 1918 წელს. ქ. თბილისი.

№ 29.

ინიშნებიან: საუფლისწულო მამულების ყოფილი ინსპექციის ბუხგალტერი ტველკმეიერი 1918 წლის 18 აგვისტოდან ცენტრალური საადგილმამულო სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე.

საუფლისწულო მამულების ყოფილი ინსპექციის საქმის მწარმოებლის თანაშემწე პ.პ. ფილიპოვი 1918 წლის 18 აგვისტოდან ცენტრალური საადგილ მამულო სამმართველოს ბუხგალტრის თანაშემწის თანამდებობაზე.

მიწათ მოქმედების და შრომის მინისტრი ნ. გ. ხომერიკი.

## განმარტებითი წერილი სამხედრო სამინისტროს შტატებისათვის.

თანახმად მე-2 და მე-3 მუხლისა „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის მოწყობის დებულებისა“, რომელიც მთავრობამ მოიწონა ეროვნულს საბჭოში შესატანად, სამხედრო სამინისტროს სათავეში დგას სამხედრო მინისტრი, თავის უწყების ხელძღვანელი მმართველობის ყოველს დარგში.

პირდაპირი ამსრულებლები მინისტრის განძრახულებათა და მათ ცხოვრებაში გამტარებლები არიან სამხედრო სამინისტროს ნაწილები, რომელთა სათავეში დგანან პასუხის მგებელი უფროსები. ასეთი ნაწილი სამხედრო სამინისტროში ექვსია:

ს ა ე რ თ ო ნ ა წ ი ლ ი, სადაც მოთავსებულია განკარგულებითი დარგი ცენტრალის მმართველობისა; აქვე მიიღება და დაურიგდება ნაწილებს სამინისტროს მთელი მიწერ-მოწერა; ნაწილში გაუკეთდება საბოლოვო რედაქცია და გამოიცემა მინისტრის ბრძანებანი და განკარგულებანი; ნაწილი აკმაყოფილებს ცენტრალის მმართველობის სამეურნეო საჭიროებებს. მოვალეობათა აღნიშნულის ფარგლის მიხედვით, ნაწილი შესდგება ოთხის განყოფილებისგან: კანცელარია სტამბითურთ, რეგისტრატურა, სამეურნეო განყოფილება და სამხედრო სამინისტროს კომენდანტი.

პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს ნ ა წ ი ლ ი განაგებს რესპუბლიკის მთელის ჯარის აფიცერთა და მოხელეთა პიროვნულს შემადგენლობას; სამსახურის გავლა, დანიშვნები, გადაყვან-გადმოყვანები და ჯილდოები ეკითხება ხსენებულს ნაწილს. ნაწილი ორის სტოლისგან შესდგება; პირველი-განაგებს აფიცრების და მოხელეების სამსახურის გავლის საკითხებს, დანიშვნებს, გადაყვან-გადმოყვანებს და დათხოვნებს, ე. ი. შესაბამის საკომანდო შემადგენლობის შერჩევას, ხოლო მეორე—წინწაწევებს და ჯილდოებს.

გ ე ნ ე რ ა ლ უ რ ი ს შ ტ ა ბ ი ს ნ ა წ ი ლ ი—სამინისტროს ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც მოთავსებულია შემუშავება საკითხებისა: ჯარის შედგენა და მოწყობა, მობილიზაცია, ქვეყნის დაცვა, ჯარების განსწავლა და ყოფა-ცხოვრება, მანევრები, სამხედრო ჯაშუშობა, რკინის გზის საქმე და სხვა ქვეყნის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე მოთავსებულია საკითხები ჯარის გაწყობისა საარტილერიო და საინჟენერო ქონებით.

სიმრავლე, სირთულე და მნიშვნელოვანობა იმ საკითხებისა, რომელნიც შედიან ხსენებულის ნაწილის გამგებლობის ფარგალში, გვაიძულებენ ეს ნაწილი გავხადოთ საკმარისად როგორც მუშათა რაოდენობის მხრით, აგრეთვე მათი ღირსების მხრით. უკანასკნელი გარემოება მოითხოვს შედარებით უკეთესს ნივთიერს უზრუნველყოფას იმ პირთათვის, რომელნიც მოწვეულ იქნებიან ამ ნაწილში თანამდებობის დასაჭერად. მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც მიუღიათ უმაღლესი სამხედრო განათლება ან აქვთ მაინც დიდი გამოცდილება სამხედრო - საადმინისტრაციო სამსახურში, შეუძლიანთ გაუძლვნენ რთულს სარკვევებს, რომლებიც წილად ხვდება ნაწილს. ასეთი პირნი ჩვენში ჯერ ნამეტნავად ცოტანი არიან და საჭიროა მათი ძვირად დაფასება. აღნიშნულმა გარემოებებმა და მოსაზრებებმა მოგვცეს საფუძველი ამ ნაწილის შტატის სხვა ნაწილებთან შედარებით უფრო გაგვეფართოვებინა და უზრუნველგვეყო მეტის სარჩენით იმაში მოსამსახურე პირნი.

ს ა ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი განაგებს ჯარის გაწყობას სურსათით, სამოსით, შეჭურვილობით, საზიდარით, სადგომებით, და აგრეთვე უკანასკნელთა შეკეთებას. ამას გარდა დასახელებული ნაწილი ადგენს სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას და განაგებს საქმეებს, რომლებიც შეეხება ჯარის ფულით კმაყოფას; იმაში გაივლის სამინისტროს მთელი ბიუჯეტი.

ჩამოთვლილის საკითხების რაოდენობისა და გვარობის შესაფერად ნაწილი შესდგება ხუთის განყოფილებისაგან: საბიუჯეტო, რომელიც განაგებს სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას და ჯარის კმაყოფას ფულით; საკვებავის—ჯარის კმაყოფას სურსათით და მისახარშით; საზიდარ-ნივთეულობის—ჯარის გაწყობას სამოსით, შეჭურვილობით და საზიდრით; სასადგომო—ჯარების დაკმაყოფილებას სადგომებით, გათბობით და განათებით და ჯარების შენობების შეკეთებას; საპენსიო—სამხედრო მოსამსახურეთა და მათ ოჯახობათა პენსიებს და დახმარებას.

ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ს ა ნ ი ტ ა რ ო ნ ა წ ი ლ ი განაგებს ჯარში სასანიტარო საქმის და სამხედრო-სასანიტარო უწყების პიროვნულის შემადგენლობის საკითხებს. ნაწილი შესდგება უფროსისა, ორის თანაშემწისა (ერთი სასანიტარო, მეორე საფარმაცევტო დარგში) და სამის საქმეთამწარმოებლისგან.

ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ბ ე ი თ ლ ო იმუშავებს ჯარში საბეითლო საქმის საკითხებს და განაგებს

სამხედრო-სამეთლო უწყების პიროვნულს შემადგენლობას; ნაწილი შესდგება სამის პირისაგან: უფროსის, თანაშემწისა და საქმეთა მწარმოებლისაგან.

ამ ექვსის ნაწილით ამოიწურება სამხედრო სამინისტროს მთელი ცენტრალი მმართველობა. მიიღო რა მხედველობაში რესპუბლიკის ჯარის სიმცირე და გაუწია რა ანგარიში სახელმწიფოს ფინანსებრივს ინტერესებს, ეროვნულ[illegible]ლოს სამხედრო კომისიამ ძალიან შეამოკლა სამხედრო სამინისტროს მიერ წარდგენილი ცენტრალის მმართველობის შტატები.

მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენის ნორჩის და პატარა ჯარის ახლად დაწყებულის ცხოვრების საკითხების გარდა, რესპუბლიკის სამხედრო უწყებამ მიიღო ყოფილის კავკასიის ფრონტის და ოლქისგან დიდი მემკვიდრეობა, რომელსაც ასე თუ ისე უნდა გაუკეთდეს ლიკვიდაცია, რადგან მასთან დაკავშირებულია დიდი ნივთიერი ინტერესები როგორც კერძო პირების ისე თვით რესპუბლიკისა, აგრეთვე იმის გამო, რომ სამხედრო სამინისტროს ახლად შედგენილის ცენტრალის მმართველობის პიროვნული შემადგენელობა თავის რიცხვითის შედგენილობის გამო მხოლოდ და მხოლოდ ჯარის მიმდინარე ცხოვრების საქმეებს გაუძლვება, საჭირო ხდება შეიქმნეს სამხედრო სამინისტროსთან განსაკუთრებული სალიკვიდაციო, ორგანო, რომელიც, რაკი არ იქნება მჭიდროდ დაკავშირებული სამინისტროს დანარჩენს ნაწილებთან, მათ ყოველდღიური მუშაობის დაურღვევლად, დაწყნარებით და მარდად გაუკეთებს ლიკვიდაციას ზემოდ მოხსენებულს მემკვიდრეობას.

ამ მოსაზრებათა საფუძვლით მთავრობაში შეიტანება ეროვნულის საბჭოსთვის წარსადგენად განსაკუთრებულის სალიკვიდაციო კომისიის შტატი მოკლე განმარტებითის წერილის დართვით. ეს შტატი წინასწარ განხილული იყო ეროვნულის საბჭოს სამხედრო კომისიაში, სადაც მოწონებულ იქნენ, როგორც სალიკვიდაციო კომისიის თვით აზრი, ისე მისი შტატი.

## შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა.

საქართველოს სამხედრო სამინისტროს ს ა ე რ თ ო განყოფილებისა

| ხარისხი და თანამდებობა. | ოფიცერთა, მოხელეთა და ცხენების რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თითოს. ხარისხის მიხედვით | თანამდებობის მიხედვით. | სადგომის მიხედვით. | შ ე ნ ი შ ვ ნ ა. |
|---|---|---|---|---|---|
| განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი, ანუ გენერალი | 1 | 350/500 | 600 | 400 | 1) სტამბა განსაკუთრებულ შემადგენლობისაა და ექვემდებარება კანცელარიის უფროსს. |
| I. კანცელარია და სტამბა 1) | | | | | 2) მათ შორის ერთი ქართული ენის კარგი მცოდნე |
| კანცელარიის უფროსი: იურისტი შტაბ-ოფიცერი | 1 | 250/350 | 500 | 350 | 3) შეიძლება მოხელენი დაინიშნონ. |
| თანაშემწენი: უფრ. შტაბ-ოფიც. 3) | 2 4) | 250/350 | 350 | 300 | 4) შეიძლება დაქირავებულნი იყვნენ, ჯამაგირი 300 მანეთამდე თვიურად. |
| თანაშემწენი: უმცრ. ობერ-ოფიც. 3) | 1 | 100/200 | 300 | 250 | 5) შეიძლება ოფიცერი დაინიშნოს. |
| გადამწერნი: უფროსი | 1 | | | | |
| გადამწერნი: უმცროსი | 1 | | | | |
| II. რეგისტრატურა. | | | | | |
| რეგისტრატურის გამგე, შტაბ-ოფიცერი 3) | 1 | 250/300 | 400 | 300 | |
| თანაშემწე ობერ-ოფიცერი 3) | 1 | 100/200 | 300 | 250 | |
| საქმის მწარმოებელი მოხელე | 1 | 100/200 | 175 | 225 | |
| გადამწერნი 4): უფროსი | 3 | | | | |
| გადამწერნი 4): უმცროსი | 3 | | | | |
| III. სამეურნეო სექცია. | | | | | |
| სექციის უფროსი მოხელე 5) | 1 | 250/350 | 400 | 300 | |
| თანაშემწე—მოხელე 5) | 1 | 250/350 | 350 | 300 | |
| საქმის მწარმოებელი მოხელე | 1 | 100/200 | 300 | 250 | |
| ხაზინადარი, მოხელე | 1 | 100/200 | 300 | 250 | |
| გადამწერნი 4): უფროსი | 1 | | | | |
| გადამწერნი 4): უმცროსი | 2 | | | | |
| IV. საკომენდანტო სექცია. | | | | | |
| კომენდანტი, შტაბ-ოფიცერი | 1 | 250/350 | 350 | 300 | |
| კომენდანტის ადიუტანტი — ობერ-ოფიცერი. | 1 | 100/200 | 175 | 225 | |
| გადამწერნი 4) უფროსი | 1 | | | | |
| მოდარაჯეთა ასეული 6) | | | | | |
| ასის-თავი ობერ-ოფიცერი. | 1 | 100/200 | 300 | 250 | 6) ექვემდებარება კომენდანტს. |
| უმცროსი ოფიცერი. | 2 | 100/200 | 175 | 225 | 7) მათ შორის ტელეფონისტნი, მსახურნი, მებარგენი და სხვა დაბალი მოსამსახურენი. |
| ზედამდეგი | 1 | | | | |
| უნტერ-ოფიც.: უფროსნი | 4 | | | | |
| უნტერ-ოფიც.: კაპტენარმუსი. | 1 | | | | |
| უნტერ-ოფიც.: უმცროსნი. | 8 | | | | |
| გადამწერი უმცროსი | 1 | | | | |
| ჯარისკაცნი | 120 | | | | |
| შესაბმელი ცხენები. | 2 | | | | |
| სამეურნეო ნაწილის რაზმი 6) | | | | | |
| უფროსი ობერ-ოფიცერი | 1 | 100/200 | 300 | 250 | |
| უმცროსი ოფიცერი. | 1 | 100/200 | 175 | 225 | |
| ზედამდეგი | 1 | | | | |
| კაპტენარმუსი | 1 | | | | |
| გადამწერი უმცროსი | 1 | | | | |
| ჯარისკაცნი. | 100 7) | | | | |
| შესაბმელი ცხენები | 28 | | | | |
| V. სამხედრო მინისტრთან და მის თანაშემწესთან მყოფნი ხარისხოვანნი. | | | | | |
| მონდობილობისათვის: გენერალი | 1 | 400/500 | 600 | 400 | |
| შტაბ-ოფიცერი | 2 | 250/350 | 500 | 350 | |
| 2) სამხედრო მინისტრის თანაშემწესთან ადიუტანტი, — ობერ-ოფიცერი | 1 | 100/200 | 300 | 250 | |
| ჯ ა მ ი | | 4200/6500 | 7875 | 6525 | |

ს უ ლ.:
- ოფიცერი და მოხელე . . . 18
- გადამწერი. . . 14
- დანარჩენი ჯარისკაცნი და დაბალი ხარისხის მოსამსახურენი. . . 236
- ცხენი. . . 30

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კანცელარიის ხარჯებისა და სამინისტროს შენობის სუფთად შენახვის და სხვა-და-სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის განყოფილებას ეძლევა თვიურად 4.000 მანეთი.

## შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ა.

საქართველოს სამხედრო სამინისტროს განყოფილებისა ლაშქრის პიროვნულ შემადგენლობის ნაწილისა.

| ხარისხი და თანამდებობა. | ოფიცერთა და მოხელეთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თითოს: ხარისხის მიხედვით | თანამდებობის მიხედვით | სადგომის მიხედვით | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|---|---|
| განყოფილების უფროსი: გენერალი | 1 | 400/500 | 700 | 450 | 1) ერთი მათგანი განაგებს ინსპექციის ნაწილს, მეორე დაჯილდოვებისას. |
| შტაბ-ოფიცერი | 2 1) | 250/350 | 400 | 300 | 2) შეიძლება დაქირავებულნი იყვნენ ჯამაგირით 300 მანეთამდე თვიურად. |
| თანაშემწენი: ობერ-ოფიცრები | 2 | 100/200 | 300 | 250 | |
| საქმის მწარმოებელი,—მოხელენი | 2 | 100/200 | 300 | 250 | |
| გადამწერნი 2): უფროსი | 1 | | | | |
| გადამწერნი 2): უმცროსი | 2 | | | | |
| ჯ ა მ ი. | | 1300/200 | 2700 | 2050 | |

ს უ ლ.:
- ოფიცრები და მოხელენი . . . 7
- გადამწერნი . . . 3

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 24 აგვისტო.

თანდათან ირკვევა, რომ ამ ერ-კავკასიას არ ასცდება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება გერმანიასა და ინგლისს შორის.

ბაქოელ ბოლშევიკთა დიქტატურა სამარცხვინოთ დასრულდა. ძალა—უფლება ,,ზოძიერების'' ხელში გადავიდა.

ამ ზომიერებს შეადგენენ რუსი მენშევიკები, რუსი მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერები და სომხის დაშნაკცუტუნი და აი ამ ბლოკმა დასცა რა ბოლშევიკური ბატონობა, თავის პოლიტიკურ მოვლინებისთანავე ინგლისელები მოიწვია მფარველად და მათ ჩააბარა ბაქოს საერთაშორისო და სამხედრო ბედიღბალი.

ეს დამაფიქრებელი გაკვეთილია იმათ დასახასიათებლათ, ვინც მზაკვრულათ უკიჟინებს საქართველოს დემოკრატიას გერმანიას როგორ დაუახლოვდითო.

ყველა შავრაზმელებიდან დაწყებული რუს ნაციონალისტ-სოციალისტებამდე ამაში გვდებს ბრალს.

დიახ, ჩვენ გერმანია ავირჩიეთ, მას შევუკავშირდით, იგი მოვიხმეთ დამხმარეთ და მრჩეველათ და ამ ახალი გეზით, ამ ახალ ორიენტაციაზე არის და იქნება აგებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო პოლიტიკა.

მაგრამ გვიბრძანონ რატომღა აფარებენ თავს ბაქოელი პოლიტიკოსები ინგლისის მტაცებლურ იმპერიალიზმს?

რატომ აქვთ ორი სხვა და სხვა ადლი, ორი სხვა და სხვა სასწორი, ორი სხვა და სხვა საანგარიშო პოლიტიკურ და საერთაშორისო მოვლენების დასახასიათებლათ?

საქართველოს კავშირი და მეგობრობა გერმანიასთან იმპერიალიზმია, დემოკრატიის ღალატია, თავისუფლების გაყიდვაა, ხოლო რუს ,,სოციალისტთა'' და სომეხ ნაციონალისტთა მიერ ინგლისელ იმპერიალისტების მოწვევა და მათთვის ბურთისა და მოედნის ჩაბარება, ეს თურმე კაი კაცობაა, რევოლიუციის სამსახურია, ინტერნაციონალიზმი და დემოკრატიზმია.

აი როგორ დაწვრილმანდენ ჩვენი მოწინააღმდეგენი.

უარგვიყვია ჩვენ ასეთი ორმაგი, ორპირული პოლიტიკა და გულღვარძლიანი ანგარიში საქართველოს დემოკრატიის წმინდა სახელის გასაწბილებლათ!

ათასი რომ იძახონ—
არა ვარ, ვითარცა
მეზვერე ესეო,—

თვალს ვერავის აუხვევენ და სიმართლეს ვერას გზით ვერ გადამალავენ,

ჩვენ ახლა გვაინტერესებს ის, თუ როგორ მიმართულებას და ხასიათს მიიღებს ბაქოს საკითხი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ურთიერთობაში და საზოგადოთ საერთაშორისო სფეროში.

ბაქოზე იერიშები მიაქვს ადერბეიჯან-ოსმალოს ჯარს, რომელიც იმდენათ სუსტი აღმოჩნდა, რომ ვერ ახერხებს მის აღებას, მით უფრო დღეს, როცა ბაქოში ინგლისელები შევიდენ ის თავის ძალ-ღონით ვერაფერს გააწყობს.

ამიტომ აუცილებელი ხდება გერმანიის ჩარევა სამხედრო ოპერაციებში.

აქ წყდება ერთი უდიდესი საკითხთაგანი მთელი დღევანდელი მსოფლიო სამხედრო ისტორიის. გერმანია იძულებულია ინგლისელები ამ თავითვე დაამარცხოს და ამ ნაირათ გასწმინდოს თავის სავალი გზა გამარჯვებისაკენ.

ინგლისელები ავანტიურის გზას ადგებიან. ისინი ბაქოში როდი ფიქრობენ შეჩერებას, მათი—გეგმა ფართოა, სხვაგან ,,ჰქრის მათი გონება''. ისინი შემოგვიტევენ აქეთაც და ამას არც ფიცავენ.

ბაქოში შესვლისთანავე მათ დაუფარავათ განაცხადეს თფილისი უნდა ავიღოთ და მაშინ ვიდღესასწაულებთო.

ასე ესმისთ პატარა ერთა უფლება და საქართველოს რესპუბლიკის ხელუხლებლობა ინგლისელებს, რომელთაც ასე უნუგეშოთ ჩაფრენიან დღეს ჩვენი პოლიტიკური მტრები. მათთვის ხომ მიზანი ამართლებს ყოველგვარ საშუალებას, რაგინდ მდაბალი და უსირცხვილო იყოს იგი!

ჩვენ კი როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას, არ შეგვიძლია გულგრილათ ვუყუროთ გაცხადებულ მუქარას და გულზე ხელდაკრეფილი შევცქეროდეთ მოახლოვებულ საფრთხეს.

ცხადია, მდგომარეობა საშიშარი არ არის. შეუძლებელია ინგლისის შედარებით მცირე რიცხოვანმა ჯარმა გაბედოს და იოლათ შესძლოს აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის გადმოლახვა და ადერბეიჯან-ოსმალოს შემუსვრა. და რაც ყველაზე უმთავრესი და უპირველესია, ესეც რომ მოხდეს, აქ არის ჩვენი დიდი მოკავშირე, უძლიერესი გერმანია, რომელიც ძლევა-მოსილი შეუტევს თავის დაუძინებელ მტერს.

მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და ჩვენი მთავრობა ყველაფერს მოიმოქმედებს საქართველოს თავისუფლების და რესპუბლიკის ღირსების დასაცავათ.

ჩვენ არავისთან არ ვფიქრობთ ომს, მშვიდობიანობა და კეთილგანწყობილება გვწყურია და თავი დაგვანებონ...

## პრესის მიმოხილვა.

„ერთობა“ ეხება ბაქოს დამცველთა პოლიტიკას, მათ მიერ ინგლისელების მიწვევას და არკვევს ჩვენი დემოკრატიის პოზიციას ამ საკითხში.

თავის თავათ ცხადია, ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ ბაქოს დამცველთა პოლიტიკას, თუმცა მათ შორის ჩვენი ამხანაგ-მენშევიკებიც არიან. ეს იქნებოდა დარღვევა იმ მეგობრულ განწყობილებისა, რომელიც ჩვენსა და გერმანიას შორის არსებობს. ამას არც ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს.

მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ბაქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედს. ამ ქალაქის გადასვლა ოსმალეთის ხელში ჩვენთვის მიუღებელია: გარდა იმისა, რომ ეკონომიურათ მოუწყობელი ოსმალეთი ვერ შესძლებს ბაქოს მოვლას და ამით ჩვენი ინტერესებიც შეილახება, რუსეთი, ეჭვი არაა, ვერ დასთმობს ბაქოს და ეს უკანასკნელი მუდმივი ქიშპობის საგანი გახდება. ჩვენ კი მშვიდობიან ცხოვრებას ვეტრფით.

ამიტომ ჩვენი სურვილია ბაქო დარჩეს თავისუფალ ქალაქათ.

ჩვენი მთავრობაც, იმედია, ყოველ ღონეს იხმარს, რომ ბაქოს ბედი მშვიდობიანის გზით გადაწყდეს, რაც საერთოდ ამიერ კავკასიის და კერძოთ საქართველოს საზღვრებში მშვიდობიან ცხოვრების დამყარებას დააჩქარებს.

ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა გამოგვეთქვა ჩვენი შეხედულება ამ დღიურ, საჭირბოროტო საკითხზე: ჩვენ რომ მშვიდობიან ცხოვრებას ვეტრფით და დაინტერესებულნი ვართ ბაქოს ბედი მშვიდობიანად გადასწყდეს —ამას მტკიცება არ სჭირდება, მაგრამ საკითხი ისაა, თუ რა ფასი და რა წონა აქვს ჩვენს კეთილ სურვილებს და თუნდაც ჩვენს თავგამოდებულ ცდას საკითხის უმტკივნეულოდ გადასაწყვეტად იქ, სადაც ერთი ერთმანეთს ეჯახებიან ორ ძლიერ მოწინააღმდეგის შეურიგებელი ინტერესები.

—

„ბორბა“ ეხება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ჩვენში პარლამენტში შესვლის საკითხს:

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მონაწილეობა აუცილებელი პირობაა ყველა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა საქართველოსი. საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობის ყოველივე ნაბიჯი იწვევს საქართველოში მცხოვრებ არა ქართველთა შორის მტრულ დამოკიდებულებას თუ არ ყოველ შემთხვევაში გულგრილობას მაინც. როდესაც უმცირესობათა წარმომადგენლები თვით მიიღებენ მონაწილეობას ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმაში, ამა თუ იმ ზომის მიღებაში—მაშინ ეროვნული უმცირესობანა საქართველოს სახელმწიფოს მუშაობას ისე შეხედვენ, როგორც თავიანთ საკუთარ საქმეს, რაც მოითხოვს მეტ სიფრთხილეს.

## გერმანული პრესა.

### ინგლისელები და რუსეთის სოც.-რევოლიუციონერები.

ინგლისელებს რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერებისათვის, თუ კი ეს უკანასკნელნი დაეხმარებიან მათ თავის გეგმების შესრულებაში ეხლანდელ მთავრობის წინააღმდეგ, აღუთქვამათ სასყიდლათ ფინური გაზეთის „Hufvudstadblad“ ის სიტყვით, 250,000 მილიონი მანეთი. ინგლისელების ამ გეგმასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული გრაფი მირბახის და ფელდმარშალ ფონ-ეინჰხორნის მოკვლა.

### ხედივი აბბას ჰილმი-II გერმანიის იმპერატორთან.

ვოლფის სააგენტო იტყობინება 1 აგვისტოდან: გუშინ მთავარ შტაბში გერმანიის იმპერატორმა მიიღო ხედივი აბბას ჰილმი II.

## ჩვენი მდგომარეობა და შეკითხვები

ყველა პოლიტიკური პარტიის ბუნებრივი მისწრაფებაა გაიზარდოს, მოღონიერდეს, რაც შეიძლება მეტი გავლენა და თანაგრძნობა მოიპოვოს ფართე საზოგადოებრივ წრეებში და ერის და სახელმწიფოს პოლიტიკური სადავე ხელთ იგდოს. ეს როგორც ვთქვით, ბუნებრივი მისწრაფებაა, „raison delhre“-ია პოლიტიკურ ჯგუფის არსებობისა და ამ ტენდენციის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის.

მაგრამ ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც სახელმწიფოებრივ ნიადაგზე სდგას, სახელმწიფოს ბედ-იღბალს უკავშირებს თავის პოლიტიკურ საქმიანობას და ზრდას, იძულებულია და ვალდებულიც პარტიის პოლიტიკა სახელმწიფოებრივი ინტერესებით შემოფარგლოს, სათავე თავის ზრდისა სახელმწიფოში ეძიოს.

თუ ეს დებულება საერთო წესია, ჩვენში ეს განსაკუთრებით საყურადღებო და მისაღებია. საქართველოს სახელმწიფოებრივობას მხოლოდ ეხლა ჩაეყარა საძირკველი, ის გამაგრებული და განმტკიცებული არ არის, ყოველი მხრიდან ჩვენ სახელმწიფოს მტერი თავს ესხმის, ბევრი ორგული და ჩვენი მოძულე გარს გვივლის, ყველა ჩვენ შეცდომას, გასაჭირს, უთანხმოებას იყენებს და მთელი თავისი არსებით იბრძვის, რომ საქართველოს სახელმწიფოს ახლად ამოვლებული საძირკველი შეანგრიოს და ჩვენი სახელმწიფოც დაასამაროს.

ცხადია, ვინც ჩვენ სახელმწიფოს იცავს საქართველოს გართულებულ და საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას ანგარიშს გაუწევს, გამონასკულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენათა გულში ღრმათ ჩაიხედავს, თავის პარტიულ ეგოიზმს დასთმობს და სახელმწიფოს და მის მომავალს თავის პარტიის ინტერესებზე მაღლა დააყენებს. პარტია, რომელიც სახელმწიფოზე ფიქრობს, სახელმწიფოს გასაჭირით არ ისარგებლებს.

ჩვენი სახელმწიფო სწორედ დიდ გასაჭირშია: მისი საერთაშორისო მდგომარეობა ჯერჯერობით გაურკვეველია, ჩვენი მტრები არ ცხრებიან და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გარკვევაში ბევრ დაბრკოლებას გვიმზადებენ; შინ ეკონომიურათ დაუძლურებული ვართ, სასურსათო კრიზისის დაძლევა ჯერჯერობით არ გვეხერხება, ლიკვიდაცია დაწესებულებათა და შტატის შემცირება, რომელიც გამოწვეულია საქართველოს სახელმწიფოს არსებითი ინტერესებით უმუშევართა რიცხვს ამრავლებს და ისედაც არსებულ სოციალურ კრიზისს ამწვავებს. ამ მდგომარეობის შეცნობა და საერთო ძალღონით სოციალურ-პოლიტიკურ უკუღმართობათა დაძლევა—აი საზრუნავი საგანი ყველა იმ მოქალაქეთა თუ ჯგუფთა, რომელნიც საქმით და არა მარტო სიტყვით საქართველოს სახელმწიფოს ემსახურებიან, მისი საშინაო და საერთაშორისო განმტკიცება მართლაც გულწრფელათ სწადიათ.

ასე არ მსჯელობს მემარჯვენე ოპოზიცია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან და შეკითხვის უფლებით უხვათ სარგებლობს და ყოველთვის ამ შეკითხვას უმთავრესათ ერთი მიზანი აქვს: მთავრობას სახელი გაუტეხოს, უკმაყოფილო ელემენტი მის წინააღმდეგ აამხედროს და ყველა ამას რა შედეგი ექნება, ან როგორი ძალთა განწყობილება გასკვნება: სასარგებლო თუ საბედისწერო სახელმწიფოსათვის მისი ყურადღების და განსჯის გარეშე სდგას. ასეთი ხასიათის იყო ამ პარტიის უკანასკნელი შეკითხვაც. მთავრობამ რკინის გზის მოსამსახურეთა შტატების შემცირება ჩაატარა ამ მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტის შემწეობით და დახმარებით.

მთავრობა ხალხის სიმდიდრეს უმიზნოთ და განუკითხავათ ვერ გაფლანგავს, დემოკრატიული მთავრობა ყოველი გროშის დახარჯვას ანგარიშს უწევს. ამიტომ სახელმწიფო იქ, სადაც საჭიროა მხოლოთ ათიათასი მუშა-მოსამსახურე, ოცი ათასს ვერ დასტოვებს. ამ მიზეზით შვიდი ათასზე მეტი მუშა მოსამსახურე დათხოვნილი იქმნენ.

ეს, რასაკვირველია, საზოგადოებრივი უბედურებაა და როგორც ასეთი ღირსია განსაკუთრებული ყურადღების როგორც საზოგადოებრივი ძალთა ორგანიზაციების, ისე მთავრობის. უნდა გამოიძებნოს ყოველგვარი საშუალება, უნდა ვიღონოთ, რომ უმუშევართ სამუშაო გაუჩინოთ, პატიოსან მუშაკთ, რომელთაც სურს თავისი შრომით თავი ირჩინოს, ამის საშუალება მივცეთ. იმდენათ მწვავეთ სდგას ჩვენში უმუშევართა საკითხი, რომ აქ სახელმწიფოს ჩარევა და სახელწიფო საშუალებით სასარგებლო საზოგადო სამუშაოს გაჩალხვა აუცილიბელია.

როგორც მოველოდით ასეთი ხასიათის განცხადება კიდეც გააკეთა მთავრობის წარმომადგენელმა. სახელმწიფო შეეცდება უმუშევარნი პატიოსან შრომაში ჩააბას.

ასე უნდა დაესვა საკითხი თვით შემკითხველს, თუ მას, მართლაც, უმუშევართა ბედი, მათი ოჯახის მდგომარეობა აფიქრებთ, ის მოუწოდებდა მთავრობას, ეროვნულ საბჭოს უმუშევართა ბედზე ეზრუნა, მაგრამ ეს მან არ მოიფიქრა იმიტომ, რომ მას სურდა უმუშევართა გულში გაჭივრებული მდგომარეობით გამოწვეული ბოღმა და რისხვა მთავრობის წინააღმდეგ მოემართა და უკმაყოფილო ელემენტი თავისკენ მიეზიდა. აქ ყველაფერია მათი მხრით დაშვებული, გარდა სახელმწიფოებრივი ინტერესებისა.

ქ.

# ეროვნული საბჭო

### მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.

თავმჯდომარე. ახლა გახლავთ კანონ-პროექტი ქალაქ ოზურგეთისათვის ერთდროულ დახმარებად 20000 მან. და უსარგებლო სესხად 50000 მან. მიცემის შესახებ. მომხსენებელი გახლავთ დიოდიძე თოფურიძე (თოფურიძე დარბაზში არ სჩანს) იქნებ მის მაგიერ ვინმემ იკისროს კანონ-პროექტის მოხსენება? სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბ-ნ გერონტი ქიქოძეს.

გ. ქიქოძე. ბატონებო, საზოგადოდ არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს უპროცენტო სესხის მიცემა ან და დახმარების აღმოჩენა ქალაქების. ეს არ შეიძლება ნორმალურ მოვლენად ჩაითვალოს განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენი ფინანსები აწეწილია. თვით ქალაქი ვალდებულია თავის საკუთარ წყაროებით გაუძლვეს თავის საჭიროებათ. ოზურგეთი მეტად განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. ომმა იგი საშინლად დააზიანა, დააზიანა თვით მმართველობა, ამიტომ ფინანსიურმა კომისიამ შესაძლებლად სცნო სთხოვოს საბჭოს, მხარი დაუჭიროს მთავრობის წინადადებას, რომ ოზურგეთს, როგორც სტიქიონისაგან დაზარალებულს, მიეცეს ვალი და ერთდროული დახმარება. კანონ-პროექტი შესდგება 2 მუხლისაგან, (კითხულობს).

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? მსურველი არ გახლავთ. მაშ გადავდივართ მუხლობრივ განხილვაზე. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი კანონ-პროექტისა.

გერონტი ქიქოძე (კითხულობს კანონ-პროექტის პირველ მუხლს).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ-ნ ფარნიევს.

ფარნიევი. (ს. დ.) აქ ერთგვარი გაუგებარი სიტყვაა ნახმარი. ნათქვამია: სამი წლის ვადით დღიდან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისა. მე მოვითხოვ, რომ ასეთი ცვლილება შევიტანოთ: ეს სესხი უნდა გადახდილ იქმნეს სამი წლის შემდეგ დღიდან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისა.

გერონტი ქიქოძე. მე მგონია, რომ ეს რედაქციული შესწორებაა და მე როგორც საფინანსო კომისიის წარმომადგენელს არა მაქვს რა საწინააღმდეგო. რატიფიკაცია ჯერ არ მომხდარა. ამ სესხის ჩათვლა დაიწყობა იმ თარიღიდან, როდესაც მოხდება საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია. მე პირადად მომხრე ვარ შემოტანილ შესწორებისა.

თავმჯდომარე. ინებებთ შესწორება შეიტანოთ?

რევ. გაბაშვილი. მე მიბოძეთ სიტყვა.

თავმჯდომარე. ბრძანეთ.

რ. გაბაშვილი. (ერ. დემ.) აქ გაუგებრობაა. ის, რომ სესხი უნდა გადაიხადოს სამი წლის შემდეგ დღიდან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციიდანო, არ არის ვადის დანიშვნა როდესაც თქვენ ასეთ ვადას სდებთ, მაშინ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის რატიფიკაცია. ჩვენ ამის ახსნას მოუნდებით. მართლაც და რომელ ხელშეკრულების რატიფიკაციას ჰგულისხმობთ. ის, რომელიც დაიდო ბათომს, ის გაბათილებულია. თუ კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე მისაღები ხელშეკრულება გაქვთ სახეში, შეიძლება ისიც გავაბათილოთ და თუ მსოფლიო კონფერენცია გაქვთ სახეში, მაშინ შეიძლება მანამდის 4—5 წელიწადი გასტანოს. საერთოდ ეს არის გაურკვეველ ვადის დადება. ფულს ანგარიში უყვარს: როდის აძლევენ და როდის შემოდის უნდა აღინიშნოს. ჩვენც ავღნიშნოთ ნამდვილი გარკვეული ვადა. მე წინადადებას ვიძლევი ასეთი შესწორება შევიტანოთ. სესხი მიეცეს 4 წლის ვადით დღიდან გაცემისა.

თავმჯდომარე. ვის ნებავს კიდევ სიტყვა? არავის, მაშ სიტყვა მომხსენებლისაა.

გერ. ქიქოძე. რატიფიკაცია მეტის-მეტად გარკვეული ცნებაა. ჩვენ საქმე გვაქვს იმ ომთან, რომელიც ჰქონდა ოსმალეთს ჩვენთან. ამ ომის დროს იქმნა დაზარალებული ოზურგეთიც. თავისთავად ცხადია, თუ რა რატიფიკაციას ვგულისხმობთ. თქვენ ისიც მოგეხსენებათ ვინ ახდენს ამ რატიფიკაციას. რაღა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობა და ოსმალეთი. მე ვამბობ, რომ ეს ვადა დაკავშირებულია იმ ომთან, რომელიც ჩვენ გამოვცადეთ. ვადას ვთვლით ნორმალურ პირობების დამყარებიდან. მე მგონი, რომ ეს შესწორება არ არის მისაღები.

თავმჯდომარე. მაშასადამე აქ არის ორი შესწორება ერთი, რომ სესხი მიეცეს 4 წლის ვადით დღიდან გაცემისა, რომელიც შემოიტანა რევ. გაბაშვილმა და მეორე, რომ ეს სესხი გადახდილ იქნეს სამი წლის შემდეგ დღიდან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისა. კენჭს უყრი პირველ შესწორებას. ვინ არის მომხრე პირველ შესწორებისა? (უმრავლესობა სწევს ხელს) ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია მეორე შესწორება. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

გერ. ქიქოძე. კითხულობს კანონ-პროექტის მეორე მუხლს.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი. მაშასადამე ეს მუხლიც მიღებულია. მთლად კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

ეხლა გახლავთ განსახილველი საბჭოს წევრის ვეშაპელის შეკითხვა, რომელიც გადადებული გახლდათ წინა კრებაზე კამათის შეწყვეტის შესახებ შემოტანილ წინადადებით. ეს განცხადება შემოტანილი იყო და მთავრობამ განუცხადა, რომ პასუხს შემდეგ გასცემდა. მთავრობის წარმომადგენელს ეკუთვნის სიტყვა.

შინაგან საქმ. მინისტრი ნოე რამიშვილი. მოქალაქენო! ეს შეკითხვა ფრიად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეხება მეტის-მეტად საჭირ-ბოროტო საკითხს არა მარტო იმ მხრივ, რომ აშუქებს გლეხთა მოძრაობას ზოგიერთ ადგილებში, არამედ უფრო იმიტომ, რომ მას აქვს განსაკუთრებული სახე, ვინაიდან იგი მიმართულია ზოგ ეროვნებათა წინააღმდეგ. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვის მიზანი სწორედ რომ ეს იყო. ეს იყო მიზანი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენლისა. ის სცდილობდა დაემტკიცებინა, თქვენთვის, რომ იმ აჯანყებებში, რომლის მოწმენიც ვართ ჩვენ უდიდეს, განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ ერთი ერის წარმომადგენლები, აქ იყო ნახმარი—ოსებიო.

რომ ერთი თვალი გადავავლოთ იმ მოძრაობას, რომლის მოწმენიც გავხდით ჩვენ, თქვენ დარწმუნდებით, რომ ეროვნულ მოძრაობაზე, ერთი ერის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ეს იყო მოძრაობა არა ეროვნული, არამედ სოციალური. ამ მოძრაობის უმთავრესი ხელმძღვანელნი იყვნენ ბალშევიკები. მე ვამბობ უმთავრესი, რადგან სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებიც სხვა და სხვა კუთხეში, ეხება ეს დუშეთის მაზრას თუ საჩხერეს მხარეს, იღებდნენ მონაწილეობას აჯანყებაში. მაგრამ რამდენადაც საკითხი ეხება ერთ მხარეს ოსთა მონაწილეობას საჩხერეს მხარეში თქვენი ყურადღება უნდა მივაქციო იმ ცნობაზე, რომელიც აქვს მთავრობას. თავდაპირველად ეს მოძრაობა იყო ადგილობრივ გლეხთა მოძრაობა. მე მოგიყვანთ ამონაწერს ქუთაისის საგუბერნიო კომისარის დეპეშიდან. (კითხულობს დეპეშას) აქ ნათლადაა ნათქვამი, რომ ოსები არ იღებდნენ მონაწილეობას საჩხერის რაიონის ქართველ გლეხკაცობის აჯანყებაშიო. მე მგონია, რომ შესაძლებელი არის აქ ტრიბუნაზე გამოვიდნენ და განაცხადონ, რომ ეს არის ჩვეულებრივი განცხადება იმ ადმინისტრაციისა, რომელიც არის თქვენ[illegible] ხელქვეითიო. თუ პირველ საბუთის შეს[illegible] ამას იტყვიან, თუ იტყვიან, რომ პარტი[illegible] სუნი უდისო, მე მოვიყვან სხვა საბუთს, [illegible]მელიც დაბეჭდილია 294 ნომერში „სახალ[illegible] საქმისა“ (კითხულობს):

ქალაში გავიგეთ, რომ რამდენიმე დღის წ[illegible]ნად დაჭრილი პორუჩიკი ბრეგვაძე და თავი[illegible] სახლიდან ტყვედ წაყვანილი სიმონ აბაშიძე მოეკლათ. გამხეცებულებმა ორივე თურმე ძაღლებს შეაჭამეს. გულ-გახეთქილმა დედამ ბრეგვაძისამ ნება შვილის ძვლების პატრონობისა მაშინ მიიღო, როცა იგი ნაწილ-ნაწილ ძაღლებს დაეგლიჯათ. დედამ შვილის ძვლების მოგროვების დროს ნახა მარტო თავი, ერთი ფეხი და ხელი. გვითხრეს საშინელი და დაუჯერებელი ამბავი, ვითომც ადგილობრივ მცველს ვიღაც დათია ჩაბრაძეს, რომ მოეტყუებინოს ძაღლები პოლკოვნიკ სიმონ აბაშიძის სხეულის შესაჭმელად ჰადის ნატეხები დაალაგა თურმე მას გულზე. არ ვიცით რამდენად ეს საშინელება მართალია, მაგრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ მცველებმა ადრევე ნახეს მოკლული კაცი, არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, ერთი არშინის მიწის გათხრა და მისი პატრონების მოსვლამდე შენახვა არ იკისრეს. ვინ მოკლა დაჭრილი ბრეგვაძე და თავის სახლიდან წამოყვანილი აბაშიძე დანამდვილებით ვერა შევიტყვეთრა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ ეს ბოროტება უფრო ჩვენებურისა და განსაკუთრებით სოფ. სავანის გმირების ხამოქმედარი უნდა იყოსო. გლეხები უფრო იჩენდნენ მხეცურ ინსტიქტებს თურმე ვიდრე ოსები.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა არა ოსების მხრივ, არამედ ადგილობრივ ქართველ გლეხების მხრივ, როგორც ამას სწერს „სახალ. საქმის“ კორესპოდენტი, გლეხები უფრო იჩენდნენ მხეცურ ინსტიქტებს ვიდრე ოსები. აი მეორე საბუთიც ამავე გაზეთიდან.

სამხედრო ექიმმა გიგო აბდუშელიშვილმა უფრო ფართოდ გადახადა ფარდა ყოველივე იმას, რაც საჩხერის ნაწილში მოხდა ოსების შემოსევამდე და რაც გადახდათ მათ ტყვეობის დროს. ბ-ნი აბდუშელიშვილი რვა თვე თავის სახლში მუშაობს, დიდი ამაგიც მიუძღვის მცხოვრებთადმი. იგი სრულიად უსასყიდლოდ საექიმო დახმარებას უწევდა ყველას, მაგრამ წარმოიდგინეთ უმადლობა იმ გლეხებისა, რომელთაც მისგან მეტი დახმარება და მეტი პატივისცემა ჰქონდათ, მით უფრო მეტის მეტი მტრობა გაუწიეს მას და დაპატიმრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ისე გაძარცვეს, ისე გაფხიკეს მისი სახლი, რომ უწლო ბავშვის საცვლებსაც კი მოხვიეს ხელი მის სახლში.

ეს ეხება არა ოსებს. აქ ნათქვამია მხოლოდ იმ უწესოებაზე, რომელსაც სჩადიოდნენ ქართველი გლეხ-კაცები. მე განზრახ შევჩერდი ამ მხარეზე, რადგან შეკითხვის ავტორის მიზანი ის იყო, მას ჰსურდა ეს მოძრაობა თქვენთვის ისე დაესურათებინა, თითქოს ეს იყო საქართველოს ერთი ჯგუფის, ჩვენი ქვეშევრდომ ოსების მოძრაობა.

მთავრობას აქვს სრული საფუძველი სთქვას რომ ეს უწესოება უკვე ჩამქრალია ჩვენი ჯარის და სახელოვან გვარდიის წყალობით.

დამშვიდება უკვე ფაქტია.

მე უნდა განვაცხადო, რომ არავითარი ეროვნული ხასიათი ამ მოძრაობას არა ჰქონია, თუ გავითვალისწინეთ ის უწესოებანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში, რაჭა-ლეჩხუმში, გორის მაზრაში, დუშეთში, თიანეთში—თქვენ დამეთანხმებით, რომ ლაპარაკი შეიძლება არა ოსებზე არამედ სულ სხვა რამ მიზეზებზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა და სხვა კუთხის გლეხ-კაცობას სულ სხვა რამ აღელვებთ. არის სათავეში ერთი მოძრაობა, რომელიც არღვევს წესიერებას. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს იმ ორგანიზაციასთან, რომელიც სარგებლობს გლეხთა დაუკმაყოფილებლობით აგრარულ საკითხში. ეს ორგანიზაცია არის ბალშევიკური ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს იმ არეულ დროით, რომელიც გამოიწვია რევოლუციამ. ეს მიმართულება მიმართავს ათასგვარ დემაგოგიას, რომ აამხედროს გლეხ-კაცობა ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, აამხედროს წითელ გვარდიის წინააღმდეგ, დაუმტკიცოს რომ ჩვენი მთავრობა არის დამცველი მემამულეთა, გამოიწვიოს არეულობა დ დასცეს ჩვენი მთავრობა.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

23 აგვისტო

მიღებულია თფილისის რადიო სადგურით.

ბერლინი, 22 აგვისტო. სამხედრო ცნობა. [...]ასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის [...]აშქარი. კემელის მიდამოებში მტრის იერიშ[...] მოვიგერეთ. არასის სამხრეთით ინგლი[...]ბმა ისევ დაიწყეს დიდი შეტევები. ან[...] და აიენვილის შუა ინგლისელებმა [...]ი იერიში მოიტანეს, რომლებიც ჩვენ [...] მოვიგერიეთ და მტერიც ძალზე დავა[...]ეთ. მტერი შეეცადა გომელთან ანკრის [...]ასვლას, მაგრამ ამაოთ. ჩვენი ხაზე[...] წინ მტრის ბევრი დაზიანებუ[...] ჯავშნოსანი მატარებლებია. სომას და [...]აზას შუა მთელი დღე სიმშვიდე იყო. ნუიონის სამხრეთ დასავლეთით 20 აგვისტოს ღამით ჩვენმა ნაწილებმა ცოტათი უკან დაიხიეს. მტერი მთელი დღე ესროდა ჩვენ მიერ დატოვებულ პოზიციას. ჩვენი ჯარები მტრის შეუმჩნევლათ უაზას გასცილდნენ. მტერმა აქ შეტევა ვერ მოახერხა. ბლერანკურის და ენის შუა მტერი მთელ დღეს შეტევებს განაგრძობდა.

ბლერანკურთან მტერმა ტერიტორია დაიჭირა.

სხვა ფრონტებზე მტრის შეტევები ვერ დამთავრდა მის სასარგებლოდ.

ვენა, 22 აგვისტო. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. მთა სიმონეზე მოვიგერიეთ იტალიელთა შეტევები.

ალბანეთის ფრონტი. ჩვენმა საჰაერო ესკადრილიამ, რომელიც შესდგებოდა ავსტრო-უნგრეთის და გერმანიის ჰაეროპლანებიდან შეუტია იტალიას.

ვალონთან. ბევრგან ცეცხლი გაჩნდა, ყველა ჩვენი ჰაეროპლანები უკან დაბრუნდნენ.

სტამბული, 22 აგვისტო. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ორივე მხრიდან საარტილერიო ბრძოლა და საჰაერო მოქმედებაა. გეჯასში ჩვენ გავფანტეთ მეამბოხეთა რაზმი. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერია. სტამბულში 21 აგვ. ღამით მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს. სამხედრო ზარალი არ ყოფილა. დაჭრილია 9 მცხოვრები, დაზიანებულია რამდენიმე მაღაზია.

ბერლინი, 21 აგვ. რეიხსტაგის წევრმა მარკარტმა მის შეკითხვაზე შემდეგი პასუხი მიიღო სამხედრო სამინისტროდან: მომავლ ზამთრისთვის განზრახულია სახაზინო პაიების გადიდება, რომლებიც ეძლეოდა ოჯახებს.

ლონდონი, 21 აგვისტო. საყოველთაო არჩევნები დანიშნულია ნოემბრისთვის. მომავალში ბრიტანეთის ყველა სამფლობელოებს უნდა ეყოლოთ ლონდონში მინისტრ-პრეზიდენტები, რომლებიც წევრებად შევლენ სამხედრო კაბინეთში. ინდოეთიც წარდგენილია.

ციურიხი, 21 აგვისტო. სააგენტოს ცნობით იტალიაში უნდა ჩამოვიდნენ ახალი ამერიკული ჯარები.

ჰონგკონგი, 21 აგვ. სააგენტო „რეიტერის“ ცნობით მდ. კანტონი ნაპირებიდან გადმოსულა. 5,000 კაცი თავშეუფარებლად დარჩა. 25 ათასი კაცისთვის საყოფი სანოვაგე არ არის.

კოპენჰაგენი, 20 აგვ. მოსკოვში შეიპყრეს ყველა სერბიელი და ინგლისელი ოფიცრები. დღემდე ჩამოიყვანეს კრონშტადტში ათასი შეიპყრობილი.

ბერნი, 21 აგვ. საფრანგეთის გაზეთები სწერენ გერმანელების მიერ დასავლეთის ფრონტის გამაგრების შესახებ. „ჟურნალი“ ამბობს ფრონტზე ახალ-ახალი სათადარიგო ჯარებია.

ამერიკული პრესის აზრით, ომი დამთავრდება არა უადრეს მომავალი გაზაფხულისა, როცა მთავარ სარდალს ფოშს მის განკარგულებაში ეყოლება სამი მილიონი ამერიკის ლაშქარი.

ლუგანო, 20 აგვ. გერმანელ სოციალისტების ლიდერი, შეიდემანი ჩამოვიდა შვეიცარიაში.

ბერლინი, 20 აგვ. გერმანელ პარტიათა ლიდერები მიღებული იქნებიან რეიხსკანცლერის მიერ ოთხშაბათს.

ვენა, 21 აგვ. ავსტრიის სახელმწიფო საბჭო შეიკრიბება ერთ სხდომაზე სექტემბრის შუა რიცხვებში. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისია მოწვეულია სხდომებზე, რომლებიც დანიშნულია მომავალ თვის დასაწყისში. განხილული იქნება გადასახადთა ახალი პროექტი.

კავკავი, ბაქოდან. კავკავი, თერგის საოლქო საბჭოს. 21 ივლისს, კრიტიკულ მომენტში, როცა გერმანელები და ოსმალოები შემოდიოდნენ, ბალშევიკების მთავრობამ დასტოვა ბაქოს პროლეტარიატი, ძალა უფლება ბაქოში ხელთ იგდო ფლოტმა, რომელმაც შეაერთა ჯარი და პროლეტარიატი და გარეკა მტერი. ინგლისელებთან სამხედრო ტეხნიკური შეთანხმება მოხდა და ამ ჟამად მტერი ქალაქიდან განდევნილია და უკან იხევს. გთხოვთ შეგვატყობინოთ თერგის და ყუბანის ოლქების მდგომარეობა. დიქტატურის თავმჯდომარე ტიუშკოვი.

სამარა, 18 აგვისტო. სამარაში შესდგა კომიტეტი, რომელშიაც შედიან ნაციონალური კრების წევრები. ეს კომიტეტი თვლის თავს რუსეთის მთავრობად. კომიტეტის წევრთა უმეტესი ნაწილი სოც.-რევოლიუციონერბია.

კიევი, 21 აგვ. დონის მთავრობამ პრესის წარმომადგენლებს მიაწოდა დონის ოლქის და უკრაინის ხელშეკრულების პირობა, რომელშიაც სხვათა შორის, დადგენილია ორივე მხარემ იცნოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და საბაჟო დაწესებულებათა შექმნის უფლება.

ყუბანის მთავრობა მოითხოვს უკრაინასთან ვაჭრობის განახლებას.

### უცხოეთი.

რადკო დიმიტრიევი.

ამსტერდამიდან მიღებულ ცნობით გაზ. „დონსკოი კრაი“ იუწყება რომ გენერალ რადკო დიმიტრიევი ამერიკულ ჯარებში პასუხსაგებელ თანამდებობაზე დაინიშნაო.

ოსმალეთში.

სულთან მაჰომედის პატივსაცემლათ მუსიკოს დონეცეტის მიერ დაწერილი ჰიმნი, სულთანის ირადეთი ოტომანის სახელმწიფოს ოფიციალურ ჰიმნათ არის აღიარებული. სულთანმა აგრეთვე დაამტკიცა ოსმალეთის ახალი ღერბი და ამ ახალი ღერბის გამოსახულებით უკვე შეუდგნენ ახალი ქაღალდის ფულის დამზადებას.

ინგლისში.

ლონდონიდან ამსტერდამით იუწყებიან: „ინგლისის შრომის მინისტრმა, მუშა რობერტსმა, თავის სიტყვაში, რომელიც ბერნელში წარმოსთქვა სტოკჰოლმში კონფერენციის მოწვევის და საერთო ზავის ხმების შესახებ, განაცხადა რომ პირადათ იგი ამ მოლაპარაკებაში არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს.

### ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

ქართველთა და ადერბეიჯანელების ურთიერთ შორის უთანხმოებათა და სადავო კითხვების გარდაწყვეტა მიენდოს სამ არბიტრს, რომელთაც ირჩევს,—ერთს საქართველოს მთავრობა, მეორეს—ადერბეიჯანი და მესამეს კი ეს ორი არბიტრი, რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან.

თანახმად სომხებთან ხელშეკრულებისა დაინიშნოს ბონების პასუხის მგებლობის განაწილების კომისიაში წევრებად: ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კ. კანდელაკი, სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ალ. მდივანი და ეროვნულ საბჭოს საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის წევრი იასონ ლორთქიფანიძე. ეს დადგენილება ეცნობოს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ, რათა მათაც დანიშნონ თავისი წარმომადგენელი ხსენებულ კომისიაში.

1) საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ მოემატოს ჯამაგირი, მიმდინარე 1918 წლის 1-ელ აგვისტოდან, თითოს 150 მანეთი თვეში; 2) მიეცეს მათვე ერთდროულ დახმარების სახით თითოს 100 მანეთი; 3) როგორც ჯამაგირის მომატება, ისე ერთდროული დახმარება ეხება მხოლოდ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც დარჩებიან შტატების შემცირების შემდეგ; 4) დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუყონებლივ მოახდინოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შტატების შემცირება ამ ჟამად არსებულ სახელმწიფოს მოთხოვნილების მიხედვით ფოსტა-ტელეგრაფში; 4) გამოეცხადოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ, სათანადო უწყების საშუალებით, რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ზომები მათი უზრუნველყოფისა პურითაც; 6) ამ დადგენილების გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს შესაფერი კრედიტი ათი მილიონიან ფონდიდან.

# ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებით, სამხედრო სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი სამხედრო პირების პენსიის წესდების შესადგენად.

○ მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: შეძენილ პურისაგან პირველად დააკმაყოფილონ ჯარი, შემდეგ მუშები, სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურენი, დამშეული ადგილები და შემდეგ დანარჩენი ყველა.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმმა შეიპყრო ქალაქის გამგეობის კონტროლიორი სტეფანე კარაპეტის ძე ალავერდოვი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუცურ და „ბალშევიკურ მოღვაწეობას“ ეწეოდა.

○ სამხედრო მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: მიანდოს სამხედრო მინისტრს ლიკვიდაცია და მიეცეს მას ამისათვის საჭირო თანხა.

○ მთავრობის თავმჯდომარემ დაავალა ყველა უწყების მინისტრებს, რათა ამ უკანასკნელებმა ყურადღება მიაქციონ გაზეთებში მოთავსებულ წერილებს, რომელიც ეხებიან იმათ უწყების მოქმედებას და მათში მოთავსებული ფაქტები საჭიროების დროს გამოძიებულ იქნას.

### სახალხო განათლება.

○ სახალხო განათლების მინისტრის მოხსენება თბილისის გიმნაზიების ქართველებსა და არა ქართველებ შორის განაწილების შესახებ მოწონებულ იქმნა. მასვე მიენდო მიიღოს ზომები რომ გიმნაზიის ხარჯები მისივე შემოსავალმა დაჰფაროს.

○ სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ კანონ-პროექტი მთავრობის მიერ მოწონებულ იქმნა.

○ ოზურგეთის პედაგოგიურმა საბჭომ სახალხო განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ოზურგეთის გიმნაზიის მთავრობის ხარჯზე მიღების შესახებ.

○ სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო პოლკ. სტრელკოვსკის და პოდპ. კლიმოვსკის გახსნან თბილისში საშუალო სასწავლებელი უუფლებოთ.

○ კვირას, 25 აგვისტოს, დილის 11 საათზე, კადეტთა კორპუსის დარბაზში (გოლ. პროსპექტი), სახალხო და საშუალო სკოლათა მასწავლებელთა საერთო კრებაზე, ივ. როსტომაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ უნდა მოეწყოს სწავლა-განათლების საქმე დამოუკიდებელ საქართველოში“? დასწრება ყველას შეუძლია.

### ადმინისტრაცია.

○ განსაკუთრებულ რაზმმა შეიპყრო: 1) ს. ფ. ხინთკირია, რომელსაც ბრალი ედება სხვა და სხვა მქურდავთა ბრბოების შედგენა და პატიმარ ოვჩარენკოს გაპარვაში ხელის შეწყობა. 2) ი. ე. არუთინოვი, რომელსაც ბრალდება ქრთამის შეძლევა რაზმის თანამშრომლის ახვლედიანისათვის 3) ა. მ. ოქრუაშვილი, რომელსაც ბრალდება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობა და ბალშევიკური გამოლაშქრება დუშეთის მაზრაში. 4) კ. კ. გოგელიანი, რომელსაც ბრალდება შანტაჟისტობა და ა. გოგელიანის დაჭრაში მონაწილეობის მიღება.

○ გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა შტ.-კაპ. ხელაევი მეციხოვნე ჯარის უფროსის შეურაცყოფისათვის; პოდპოლკ. მგელაძე მკვლელობისათვის. ჯარის კაცები ფირცხალაიშვილი, ლომჯარია და ჭელიძე მკვლელობისათვის, ჯარის კაცები სამხარაძე და ნ. ბერიძე ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

### სხვა და სხვა ამბები.

○ ქუთაისის საგუბერნიო კომისარს ისევ წარუდგა დელეგაცია ლეჩხუმის მაზრიდან, იქ მომხდარ ამბების გამო. კომისარმა უპასუხა დელეგაცის, რომ მან ლეჩხუმელებს მისცა წინადადება, რომელსაც ჰქონდა ულტიმატუმის ხასიათი. შემდეგ კომისარმა განუმარტა დელეგაციას, რომ ის პირნი, რომელთაც ბრალდებათ მხოლოდ შეიარაღებული გამოსვლა, შეიძლება პასუხის მგებლობიდან იქნან განთავისუფლებულნი, ის პირნი კი, რომელთაც ბოროტ-მოქმედება ბრალდებათ, სასტიკად დაისჯებიან. იარაღი უსათუოდ უნდა ჩამოერთვათ. სოფლის მილიციის და ერობის შესახებ, კომისარმა შესაფერი განმარტება მისცა. თუ ლეჩხუმელები არ დამშვიდდებიან, ერობის შემოღება დაგვიანდება და საომარი ოპერაციები მაზრაში შესწყდება მხოლოდ მაშინ, როცა იარაღი ჩამოერთმევათ.

○ რუსთა ეროვნულ საბჭოში ბევრი თხოვნა შეაქვთ ბათომში წასვლის ნებართვის შესახებ. ასეთი თხოვნები 2 ფოტოგრაფიულ სურათით უნდა გაეგზავნოს ბათუმის ციხის უფროს, რომელზედაცაა დამოკიდებული ბათომში შესვლის ნებართვის აღება.

○ ერევნიდან ჩამოვიდა სომხეთის გზათა მიმოსვლის სამინისტროს წარმომადგენელი ინჟ. მალხასიანი, რომელსაც დაკისრებული აქვს მოელაპარაკოს საქართველოს გზათა მიმოსვლის სამინისტროს სომხეთის რკინის გზის სადგ. ჯაჯურმდე მატარებლების მიმოსვლის შესახებ.

○ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ ახალ ათონის რაიონში შეტაკება მოხდა სახალხო გვარდიელთა და ოსმალთა ასკერების ბრბოს შორის. ჩვენის მხრივ არიან დაჭრილნი და დახოცილნი.

○ რუსულ ნაციონალურ საბჭოს ატყობინებენ, რომ ურმიაში დარჩენილი რუსები და აგრეთვე სომხები და აისორები გარშემორტყმულ არიან ოსმალოებით და ქურთებით, რომელთაგან მათ საფრთხე მოელის, რადგანაც მათ სთვლიან დამნაშავედ ქ. დილმანის, სალმასტის და ურმიის ოლქების დარბევაში.

○ სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები საქართველოს ტერიტორიაზე სახაზინო ქონების შესაგროვებლად და შესანახად. ამ მიზნით შტაბმა გაგზავნა თავისი წევრები რესპუბლიკის სხვა და სხვა ნაწილებში.

○ კავკავიდან ჩამოსულების სიტყვით საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობა ძალიან ძნელია. დარიალის ხიდის იქით ორ ალაგას ზვავია ჩამოწოლილი; მგზავრები ფეხით გადადიან ზვავზე, ბარგი ხელით გადააქვთ.

○ მთავრობის მიერ სპირტის რეკვიზიციის შესახებ დადგენილების გამოტანის გამო— ქალაქში არაყი და კონიაკი 40—50 პროცენტით გაძვირდა.

○ კვირას, 25 აგვისტოს დანიშნულია ქართულ ტანსავარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“-ს დამფუძნებელი კრება, ყოფილ სამხედრო-საგიმნასტო შკოლის შენობაში (ფლიორვერკის და ალექსანდროვის ქუჩ. კუთხე) საზოგადოების ყველა წევრებს და საქართველოში ფიზიკურ განვითარების იდეის თანამგრძნობლებს სთხოვენ მიბრძანდენენ ზემოხსენებულ შენობაში შუა დღის 12 საათზე.

### ერობა.

○ ქ. ოზურგეთში ერობის არჩევნები დამთავრდა. არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 2435 კაცი. სოციალისტურმა ბლოკმა (ს. ფ. და ს. დ.) მიიღო 2214 ხმა, ნაც.-დემ. 221. მცხოვრებლები გულგრილად ეპყრობოდნენ არჩევნებს. არჩევნების რეზულტატი მაზრაში გამოურკვეველია.

### ხოლერა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი და 8 საეჭვო ავადმყოფი. მორჩა და გამოეწერა 5 ხოლერიანი. გარდაიცვალა 7 ხოლერიანი. 22 აგვისტოს იყო 60 ხოლერიანი და 1 საეჭვო ავადმყოფი.

# ბაქოს ამბები.

სამშაბთს, 20 აგვისტოს, ჩამოვედით ბაქოდან ქართველები, 60 კაცამდე.

რადგან ქართველ საზოგადოება ნაკლებად მოსდის ცნობები ბაქოს შესახებ, ვეცდები მკითხველს მოკლედ მაინც აუწერო ბაქოს მდგომარეობა.

მე მხოლოდ იმ ფაქტებს შევეხები, რომლების მოწამეც მე ვიყავი, ან სანდო პირებისაგან მაქვს გაგონილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დღევანდელი მდგომარეობა.

ჩვენი წამოსვლის დროს, ე. ი. აგვისტოს 13-ს (ახ. სტ.) ბაქოს მმართველობა ფლოტის და აღმასრულებელ კომიტეტის ხელში იყო. აღმასრულებელ კომიტეტში შედიოდნენ სამი პარტია: მენშევიკები, მემარჯვენე სოც.-რევოლიციონერები და დაშნაკცაკანები.

ოსმალეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ქალაქს. მას დაკავებული ჰქონდა ბაქოს გარშემო სოფლები, რომლების ცენტრად ითვლება სოფ. მაშტაგი.

ბაქოში ამ სოფლებიდან აღარაფერს უშვებდნენ მოსატანად. ბაქოში დღეს სურსათი მხოლოდ ზღვით შემოაქვთ.

ბაქოს ჯარი გამაგრებულია ქალაქის გარშემო მთებზე.

ბიჩერახოვის რაზმი დიდი ხანია დერბენტისკენ წავიდა და იქიდან უკან ვეღარ იძვრის.

ბოლშევიკი პეტროვის რაზმი მსწრაფლსროლელი ზარბაზნებით რუსეთში ემზადება წასვალს, რადგან ინგლისელებთან ერთათ არ უნდათ იომონ.

ინგლისელები 1500 კაცამდე უკვე მოსული არიან იარაღით და ბრონევიკებით. 200 კაცამდე ინდოელი მხედარიც ჰყავთ.

ამ მდგომარეობაში დავტოვეთ ბაქო, როცა აგვისტოს 14-ს წამოვედით თბილისისაკენ.

### მარტის ამბები.

მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოში სხვა პარტიათა შორის მონაწილეობას იღებდნენ დაშნაკცუტიუნი და მუსავატი, თუმცა ერთმანეთს არ უყურებდნენ სანდო თვალით.

მარტში ლენკორანში მოკლულ იქმნა თათრების დივიზიის ოფიცერი ბაქოს მცხოვრები თაღიევი.

მის დასაფლავებაზე ბაქოში დაესწრნენ მისი ამხანაგები 70 კაცამდე იარაღით. დასაფლავების შემდეგ 18 მარტს მათ უნდოდათ იარაღითვე ლენკორანში დაბრუნება. ბოლშევიკებმა ნება არ მისცეს იარაღის წაღებისა, ამ ნიადაგზე შეტაკება მოხდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ამ საქმეში ჩაერია მუსავატი და მოითხოვა იარაღის დაბრუნება. აღმასრულებელ კომიტეტმა უარი უთხრა და ამნიადაგზე მოხდა შეტაკება.

დაშნაკცუტიუნი ბოლშევიკებს მიემხრო. ამგვარად ომობდნენ ერთი მხრით ბოლშევიკები და დაშნაკცუტიუნი, მეორე მხრით მუსავატი.

მე ამ დროს ბინაგადში ვიყავი ნავთის მადნებზე.

სომხებისთვის 18-ს მარტს სალამოს შეუტყობინებიათ, და ღამე თითქმის ყველანი წამოსულიყვნენ.

ქართველები შევიკრიბეთ ბინაგადის წყალ-საყვანის ეზოში, პლ. ლანდიას სახლში და იქ გავატარეთ ერთ კვირამდე.

ბინაგადის მკვიდრი მცხოვრები მაჰმადიანები ერთ-ორ დღეს თვითონ იცავდნენ წესრიგს, მაგრამ შემდეგ მათ შორის აღმოჩნდნენ ბნელი ძალები და მთელი ბინაგადა დაარბიეს.

ამავე დროს ბაქოდან გადმოუციათ ბინაგადაში ვითომც მდიდარი მაჰმადიანი სალიმოვი ურიებს გაუციათ და სომხებს მოუკლავთო. გაჯავრებულმა მაჰიადიანებმა 7 ურია მოკლეს ბინაგადში, აზათ შორის 2 ინჟენერი და 2 ტეხნიკი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ სალიმოვი არავის არ გაუცია და დღესაც ცოცხალია. ვინ გადმოსცა ბინაგადში მისი მოკვლის ამბავი, დღესაც გამოურკვეულია.

როცა ომი გათავდა და ბქოში ჩამოვედით, ბაქოს ზოგი კუთხეები მაჰმადიანის ნაწილში ცეცხლით და ზარბაზნით აოხრებული დაგვხვდა. დამწვარი დაგვხდა მაჰმადიანების საქველ-მოქმედო საზოგადოების სახლი, რომელიც მუსა—ნაღიევის ფულით აშენებული იყო და ერთ საუკეთესო შენობას წარმოადგენდა ბაქოში.

სომხებს დაუწვეს ტარაევის და მაილოვის სახლები.

სამი დღის განმავლობაში 3000 კაცამდე იქმნა მოკლული და დაჭრილი, უმეტესობა მათ შორის მაჰმადიანები იყვნენ. ბევრი მაჰმადიანი სახლებიდან გამოეყვანათ და მოეკლათ.

ამ ომის შემდეგ შესდგა ბოლშევიკების მთავრობა შაუმიანის მეთაურობით.

### ბოლშევიკების მთავრობა.

ბოლშევიკები დაუყონებლივ შეუდგნენ მათი პროგრამის შესრულებას.

მრეწველთ და ვაჭართ დაადვეს გადასახადი 50 მილიონი, გამოაცხადეს ნაციონალიზაცია ბანკებისა, ფლოტისა, ნავთის წარმოებისა, გააუქმეს სასამართლოები, დაკეტეს უფროსი ნოტარიუსის კანცელიარია, სახელწიფო მოხელეები ბევრი დაითხოვეს და თავის კაცები ჩააყენეს, და სხვა და სხვა.

აფრთხილებდნენ ბოლშევიკურ მთავრობას, რომ ხალხი მოუმზადებელია და ამ გვარი რეფორმები ბაქოს დაღუპავსო, მარა ყურს არავინ უგდებდა.

ინჟინერთა კავშირმა პროტესტი განაცხადა ნავთის წარმოების ნაციონალიზაციის გამო, მაგრამ პროტესსტი პროტესტად დარჩა.

ყველგან საქმე აირ-დაირია, შეიქმნა უიარაღო ცარცვა—გლეჯა. ვისაც კი არ რცხვენოდა, ხაზინას ძარცვავდნენ. თვითონ ბოლშევიკების მთავარ მოხელეებშიც აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომლებმაც დიდ-ძალი ფული მოიპარეს.

მაგალითად ფინანსთა კომისარი კირეევი დახვრეტილ იქმნა იმისთვის, რომ 100 ათასი მანეთი მოეპარა და გაქცევას აპირებდა. ბევრმა მილიონებიც კი მოიპარა.

ბოლშევიკების მიერ შემდგარი წითელი ჯარი ძვირად დაუჯდა როგორც ხაზინას, ისე მცხოვრებლებს, რადგან სურსათი სულ მათ ეძლეოდათ და ხალხს კი პური ენატრებოდა. როცა კი ომის დრო მოვიდა და ოსმალეთის ჯარი ბაქოს მოაწვა, წითელი ჯარის მომეტებული ნაწილი უომრად ბაქოში გამოიქცა.

ამ მიზეზების გამო მუშა ხალხი დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა. ბოლოს ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ აღარ შეეძლოთ მმართველობა განეგრძოთ და გადადგნენ.

ამ დროს მუშები შეერთდნენ ქალაქის დასაცავად, იარაღი აიღეს და ოსმალეთის ჯართან საომრად გამოვიდნენ. მათ შეუერთდნენ აგრეთვე ფრონტზე მყოფნი ჯარის-კაცები, რომელნიც აქამდე არ ღებულობდნენ მონაწილეობას.

ბაქოს მიდამო მთებზე რამდენიმეჯერ შეტაკება მოხდა. 5 აგვისტოს ოსმალები თითქმის ქალაქში შემოსული იყვნენ. მაინც ვერც ერთმა მხარემ სრულიად ვერ გაიმარჯვა, რადგან თითქმის ერთნაირი ძალა აღმოუჩნდათ ორივე მხარეს.

ამის შემდეგ მუშათა საბჭომ დაადგინა ინგლისელები მოეწვიათ სპარსეთიდან დასახმარებლად.

### საყოველთაო მობილიზაცია.

როცა ოსმალეთის ჯარი ბაქოს მოუახლოვდა, აღმასრულებელ კომიტეტმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა წლოვანობის მიუხედავად. მამა კაცებს ქუჩებზე იჭერდნენ და მიჰყავდათ.

შემდეგ გამოაცხადეს, რომ ჯარში იწვევენ 20 წლიდან 42 წლამდე.

მობილიზაციის შესახებ ხალხი კი იმ აზრისა იყო, რომ ამგვარად შედგენილი ჯარი ბაქოს ვერ უშველიდა.

### თავისუფალი ერების გაწვევა.

განცხადების ძალით მობილიზაცია ეხებოდა აგრეთვე იმ ერთ, რომლებიც ომის დროს გამოეყვნენ რუსეთს, მაშასადამე ქართველებსაც.

ერთი ჩემი მეგობარი ინჟენერი, ტომით უკრაინელი, აღმასრულებელ კომიტეტში მივიდა, უკრაინის პასპორტი წარუდგინა და სთხოვა ბაქოდან წასვლის ნებართვა. მას უპასუხეს, რომ უკრაინას ცალკე სახელმწიფოთ არ სცნობენ და ამის გამო მას მობილიზაციიდან ვერ გაანთავისუფლებენ.

### ქართველების რაზმი.

მოქ. არდიშვილმა ქალაქში წესიერების დასაცავად მოინდომა ქართველთ რაზმის შედგენა. ქართულ ეროვნულ საბჭოს დაუკითხავად შეუდგა ის მილიციის დახმარებით ქართველების შეკრებას. ამ რაზმში არა ქართველიც ბევრი ჩაეწერა. შემდეგ სამხედრო მთავრობამ ეს რაზმი ფრონტზე გააგზავნა.

ქართველთ ეროვნულ საბჭომ არდიშვილის ამგვარ საქციელის შესახებ პროტესტი გამოუცხადა.

### ბაქოელების აზრი მტრის შესახებ.

თუმცა ნ. ჟორდანიამ დიდი ხანია დეპეშით აცნობა ბაქოს, რომ არც ერთი თბილისის რევოლიუციონურ ორგანიზაციას არა აქვს მიზნად ბაქოზე გამოლაშქრებაო, მაგრამ ადგილობრივ გაზეთების წყალობით მუშები და ჯარის-კაცები მაინც დარწმუნებული იყვნენ, რომ თბილისს უნდა ბაქოს აღებაო.

ბევრი იწერებოდა კერძოდ ქართველებზე. გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი"-ი თითქმის ყოველ ნომერში იმეორებდა, რომ ქართველების და მაჰმადიანების ბურჟუაზიამ გამოგზავნა ჯარი ბაქოს ასაღებად და რევოლიუციის მოსასპობადაო. ცუდათ იხსენიებდენ ჩხენკელს, გეგეჭკორს და წერეთელს. იქამდი მივიდნენ, რომ წერეთელზე დასწერეს: „აი თავადის შვილობა ბოლოს მაინც აღმოაჩნდაო".

ამავე დროს ხალხში ავრცელებდნენ ხმას, რომ სომხები და რუსები საქართველოში გლახა მდგომარეობაში არიან ჩავარდნილიო.

ამისთანა აგიტაციის შემდეგი ის იყო, რომ ქართველებს ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა და მოღალატეებათ სთვლიდნენ რუსეთის რევოლიუციის წინაშე.

ბოლო დღეებში გამოირკვა, რომ ბაქოს მოპირდაპირე ოსმალეთის რეგულიარული ჯარი ყოფილა, გაზეთებმა ცოტა კილო გამოიცვალეს და ქართველებზე აღარაფერს სწერდნენ.

მაინც ბაქოელების მიზანია მტერი უკუ აგდონ და შემდეგ თბილისზე გამოილაშქრონ.

როცა ინგლისელები შემოვიდნენ ბაქოში და სასტუმრო „მეტროპოლში" დაბინავდნენ, „მეტროპოლის" კარებზე ასეთი განცხადება იყო აკრული:

„მოქალაქენო, კმარა სეირი, წადით, იმუშავეთ ფრონტისათვის. ჩვენი დღესასწაული მაშინ იქნება, როცა თბილისში ჩავალთო".

### პურის საკითხი.

ჯერ ზამთარშივე გამოირკვა, რომ ბაქო უპუროდ დარჩებოდა. პეტროვსკის მხრით ჩრდილო-კავკასიიდან აღარ უშვებდნენ პურს. როცა ნავიგაცია გაიხსნა, ასტრახანიდან მოელოდნენ პურს, მაგრამ მხოლოდ ეგრედ წოდებულმა „მეტომრეებმა" ისარგებლეს, ზიდავდნენ და 200—250 მანეთად ჰყიდნენ ფუთ პურს. რევოლიუციურ ორგანიზაციებმა კი ვერაფერი მოახერხეს.

ბალშევიკების მთავრობა რომ დამყარდა, მათ ყველა ბრალი წინანდელ მთავრობას დასდევს და დაგვპირდნენ მალე ბევრი პური მოვა მუღანიდან და ლენქორანიდანაო. პური კი ფუთი 300—350 მ. ღირდა.

ბოლშევიკები გადადგნენ. ეხლანდელმა მთავრობამ აცნობა ხალხს, რა უხერხულად მოეკიდათ ხელი ბოლშევიკებს პურის საქმისთვის და გამოაცხადეს, რომ ყოველივე ზომებს მიიღებენ, რათა ხალხს პური მიაწოდონ, მაგრამ პურის ფასმა უფრო აიწია.

### როგორ წამოველით ჩვენ ბაქოდან.

ბევრი ქართველების ოჯახობა საზაფხულოდ ბაქოს ახლო სოფლებში არიან წასული. როცა ოსმალებმა ეს სოფლები დაიკავეს და ბაქოში აქედან აღარავის უშვებდნენ, ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოში წამოსვლა. ოსმალეთის შტაბის ნებართვით 60 კაცამდე ქართველი, ცოლ-შვილით, ზოგი ურმით, ზოგი ფეხით, გამოვემგზავრეთ სადგურ პუტასკენ, სადაც ორი დღის შემდეგ მოველით. აქედან მატარებლით ვიარეთ თბილისამდე 3 დღე.

### რა მდგომარეობაში დარჩნენ ქართველები ბაქოში.

სამნაირი განსაცდელი მოელის მათ:

1) სომხის და რუსის მდაბიო ხალხი გაზეთების წყალობით არა მეგობრული თვალით უყურებს მათ და ამ ნიადაგზე შესაძლებელია ექსცესსები;

2) თუ ქალაქში სომეხთ და მაჰმადიანთა შორის ნაციონალური შეტაკება მოხდა ოსმალეთის ჯარის შესვლის დროს, შეიძლება ბევრი ქართველიც შემთხვევის მსხვერპლი გახდეს.

3) რადგან სურსათის საქმე თანდათან მწვავდება, ბაქოს ქართველებს ეგრეთივე შიმშილი მოელის, როგორც სხვა მცხოვრებლებს;

4) უკანონოთ ჯარში გაწვეულმა ქართველებმა სხვის სამშობლოსთვის სისხლი უნდა დაღვარონ.

ინჟ. ს. მ—ძე.

P. S. ვისაც სურს ბაქოში დარჩენილ ქართველების შესახებ ამბავი მკითხოს, შეუძლიათ მომმართონ ამ ადრესით: ავლაბარი, აფთიაქი, ტელეფ. 5—02.

ს. მ.

---

## რ ა ჭ ა.

(ყველას საყურადღებოთ).

რამდენადაც ვიცი ამ პროვინციას არასოდეს არ დაურღვევია თავისი ლოიალობა. მიუხედავათ ამისა ჩვენს ოფიციალურს და არა ოფიციალურ პრესაში ხშირათ შეჰხვდებით მის შესახებ ყოველ საფუძველ მოკლებულ ცნობებს. ამას წინათ იწერებოდნენ მაგალითად თითქოს რაჭაში ორი იარაღით დატვირთული ურემი დაეჭიროთ. იწერებოდნენ აგრეთვე თითქოს ბ-ნ სტალინს წერილი გამოეგზავნოს რაჭველი ბალშევიკებისთვის და სხვა და სხვა. რისთვისაა ან ვისთვისაა ესეთი ამბების მოჭორვა საჭირო? რა ურემი რის ურემი? რა წერილი რის წერილი? ჩვენ რაჭაში მყოფს რაჭველებს არაფერი არ გვსმენია ამის შესახებ; პირიქით ერთს ჩვენთაგანს შემთხვევა ჰქონდა პირადათ ენახა სტალინი ამ ორი თვის წინათ. უკანასკნელი აღტაცებული იყო ლეჩხუმის ჩამოშორებით და ქება დიდებას ასხამდა იქაურ ბალშევიკებს. ამ ჭორების მაგიერ კარგი იქნებოდა ჩვენს პრესსას ყურადღება მიექცია იმისათვის, რაც მართლა ჰხდება რაჭაში. მკითხველმა იცის რომ რაჭა ლეჩხუმს აკრავს. სხვა პროვინციებს კი მთებითაა დაშორებული. ამის გამო მოსალოდნელი იყო რომ ლეჩხუმის ამბებს აქაც შეეცვალათ მდგომარეობა, მით უფრო რომ შინ დაბრუნებული ჯარის კაცები რაჭაშიაც „ბალშევიკურათ" იყვნენ განწყობილნი. საბედნიეროთ აქ საკმაო აღმოჩნდა ის ილემენტები, რომელნიც ხელაღებით უჭერდენ მთავრობას მხარს. მათ უნდა უმადლოდეთ ჩვენ იმას, რომ რაჭველები განზე დაურჩნენ ლეჩხუმელ მოთარეშეთ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელები ყოველი ღონის ძიებას ხმარობდენ რაჭაშიაც აემოძრავებინათ ბნელი ძალები.

უკანასკნელ დროს, როდესაც მთავრობის ჯარებმა საკმაოთ შეავიწროეს მეამბოხენი, მათ განსაკუთრებულ ზომებს მიმართეს რაჭველებზე ზედგავლენის მოსახდენათ. შეიარაღებული ბრბოები ხან იქ შეიჭრებოდნენ სოფელში, ხან აქ და დაჟინებით ითხოვდნენ ხალხს და იარაღს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს ანგარიში გაეწიათ მდგომარეობისათვის. ისინი მართავდნენ სოფლებში კრებებს, საზოგადოებაში კი მიტინგებს და ურჩევდნენ ხალხს თავდამცველი რაზმების შედგენას, ხალხი გულდასმით ისმენდა მოხსენებებს და მართლაც ადგენდა რაზმებს. არც ერთს, „მობალშევიკე გვამს" არ გაუბედნია ასეთ მიტინგზე კრინტის დაძვრა.

რაზაების შედგენა მეტათ აზრიანი ნაბიჯი აღმოჩნდა. უკანასკნელთ, მალე პრაქტიკულადაც იწყეს მოქმედება. საქმე იმაშია რომ უსურსათობით ილაჯ გაწყვეტილმა ქვაყუნტაზე მყოფმა ლეჩხუმელებმა შეიარაღებლის ძალით იწყეს სურსათის და იარაღისართმევა. მაგრამ საბედნიეროთ მათი პირველი და უკანასკნელი მსხვერპლი სოფელი გოგოლეთი იყო, რომელიც სწორეთ ქვაყუნტას გადმოღმა მდებარეობს. შემდეგ სოფელი ცახი ტყვიებით შეეგება მეამბოხეებს და მოიგერია კიდეც ისინი. ამის შემდეგ უფრო დიდის ძალებით თავდასხმა იყო მოსალოდნელი, ამიტომ გადავსწყვიტეთ ახლო მახლო სოფლებიდან მოგვეშველებიან „ვინტოვკებით„ შეიარაღებული რაზმები ცახისათვის. სოფელმა ბაჯმა და ტბეთმა მართლაც გამოუგზავნეს თავის რაზმები დასახელებულ სოფელს. თუ ესეც არ აღმოჩნდებოდა საკმაო მაშინ უფრო შორე სოფლებიდანაც უნდა გამოგვეწვია რაზმები. თვით ამ სოფლებში ხალხს დავალებული ჰქონდა დღედა ღამე ედარაჯნა მტრისათვის.

ყველა ეს ზომები თავდაცვითი ხასიათისა იყვნენ, მაგრამ მთავრობას რომ მოესურვებინა და ინიციატივა აეღო ხელში იერიშის მისატანათაც გამოიყანებდა ადგილობრივ ძალებს. ესენი კი გაცილებით უკეთ შეასრულებდენ საქმეს ვიდრე შორით მოყვანილ ჯარის და გვარდიის ნაწილი. საუბედუროთ მეტათ ბუნდოვანი წარმოდგენა ბატონობს რაჭის ავკარგის შესახებ.

რაჭველი.

---

## როგორ უნდა იყოს მოწყობილი მკურნალობა და სანიტარული საქმე მომავალ ერობაში*).

ხალხის ჯანმთელობის მოწყობის საქმე ორ ნაწილათ განიყოფება, პირველი, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ჯანმთელობის საქმე, და მეორე, თუ როგორ უნდა იყოს დაყენებული ავადმყოფთა მკურნალობა—ექიმობა.

პირველ საკითხს, როგორც ჩვენში ისე რუსეთში და ევროპაშიც აქვს საზოგადოებრივი ხასიათი, ე. ი. ამის შესახებ ზრუნავენ კოლექტიური დაწესებულებანი: სახელმწიფო, ქალაქის თვითმართველობანი, ერობები და სხ.; მხოლოთ მკურნალობა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში ხსვა და სხვანაირ საფუძველზეა დამყარებული. მკურნალობა დასავლეთ ევროპაში არის კერძო საქმე ავადმყოფისა და მკურნალისა. თუ რომელი სისტემაა უკეთესი, ეს საკითხი შორს წაგვიყვანს. მე მხოლოდ აღვნიშნავ, რომ კულტურულად დაწინაურებული ხალხისათვის და კერძოდ განათლებული კაცისათვის, თუ შესაძლებელია ამგვარად დაყენება მკურნალობის საქმისა, კულტურულად ჩამორჩენილი ხალხისათვის და გაუნათლებელი კაცისათვის ყოვლად უვარგისია ამ გვარად დაყენებული მკურნალობა.

იბადება საკითხი, მომავალ ერობაში, რომელი სისტემით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

ცხადია, ჩვენ უსათუოდ უნდა მომხრენი ვიქვეთ იმ სისტემისა, რომლითაც ხელმძღვანელობს რუსეთის ერობა.

### I. ხალხის მკურნალობა.

აქამომდის საქართველოში ხალხის მკურნალობა გაცილებით ცუდად იყო მოწყობილი, ვიდრე შიდა რუსეთში. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს რუსეთმა ერობა არ აღირსა და ხალხის მკურნალობის საქმეს ჩვენში რუსეთის ბიუროკრატიის მოხელეები აწარმოებდნენ.

უნდა ვსთქვათ, რომ ხალხის მკურნალობისთვის სულ მცირე ხარჯი იყო გაღებული. რუსეთში 1897 წელს, იმ გუბერნიებში, სადაც ერობა იყო შემოღებული, თითო სულზე ამ საგნისათვის მოდიოდა 34 კაპ., ჩვენში კი 1913 წელს 13 კ.

რაც შეეხება საავადმყოფოებს, სადაც ხალხს შეეძლოს მუდმივი საწოლებით ისარგებლოს, ამგვარი საავადმყოფო მთლად კავკასიაში ერთია—მიხეილის სახელობის საავა-

*) ექიმ ალ. მალალაშვილის მოხსენებიდან (ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებაში წაკითხ.)

დმყოფო. მხედველობაში არა მაქვს ის საავადმყოფოები, რომელნიც არსებობენ ქალაქების ან მრეწველთა ხარჯით. მაშასადამე, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დიდ ქალაქების გარდა მთლად კავკასიაში ითვლება 7 მილიონი მცხოვრები და მათთვის არსებობს მხოლოდ 300 მუდმივ საწოლიანი საავადმყოფო, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქართველო ამ მხრივ სრულიად არ არის დაკმაყოფილებული.

II. როგორ უნდა იყოს დაყენებული სახალხო მკურნალობა საქართველოს რესპუბლიკაში.

მთლად საქართველო უნდა დაიყოს უმცირეს სამკურნალო სანიტარულ ერთეულებათ. თითო ამგვარ ერთეულზე პირველ ხანებში შეიძლება მოდიოდეს 20000—30000 მცხოვრები, მხოლოდ შემდეგში ეს რიცხვი უნდა შემცირდეს. ამგვარ ერთეულს შეგვიძლიან უწოდოთ სამკურნალო უბანი (участокъ).

საქართველო უმეტეს ნაწილათ მთიანი ადგილია და ჩვენი დაბა-სოფლები მდებარეობენ ხეობებში. ამიტომ ჩვენ სამკურნალო უბნებს ყოვლად შეუძლებელია ოთხ-კუთხი ან რგვალი შემოხაზულობა ჰქონდეს, როგორც რუსეთში, სადაც უმეტეს ნაწილად, დაბა-სოფლები ტრიალ მინდორში მდებარეობენ.

თითო სამკურნალო მცირე უბანში უნდა იყოს ქსენონი, სადაც მუდამ უნდა იყოს ერთი ექიმი, ორი ფერშალი, ერთი ბებია და ერთი ფარმაცევტი.

საფერშლო პუნქტები არ უნდა იყვნენ ჩვენ მომავალ ერობაში. მხოლოდ თუ ვინიცობაა ფინანსიური მოსაზრებით მაინც გახდა საჭირო საფერშლო ერთეულობის შექმნა, მაშინ რომელსამე ექიმს უნდა ექვემდებარებოდეს ეს საფერშლო უბანი. ექიმი კვირაში ერთხელ ან ორჯელ უნდა ესწრებოდეს ამგვარ ქსენონის ავადმყოფების მიღებას, ხელმძღვანელობას უწევდეს ფერშალს ავადმყოფების მიღებაში და უხსნიდეს ფერშალს, თუ როგორ უნდა აწარმოვოს ამა თუ იმ ავადმყოფის წამლობა იმ დროს, როდესაც ის არ იქნება ქსენონში.

რუსეთის ერობების მაგალითები გვიჩვენებენ, რომ იქ საფერშლო უბნები პირველში ბევრნი იყვნენ, მაგრამ მერე თითქმის რომ მოსპეს.

ყველა მცირე სასოფლო ქსენონთან უნდა იყოს 3—5 მუდმივი საწოლი ალაგი, სადაც ექიმის ჩვენებით ილებდნენ მძიმე ავადმყოფებს.

ყველა ქსენონთან უნდა არსებობდეს აფთიაქი, საიდანაც ყველა ავათმყოფი, რომელიც იქნება ქსენონში ილებდეს მუქთათ წამალს. თუმცა ამის შესახებ ერობებში სხვა და სხვანაირი წესი არსებობს. როგორც წამალის ისე წამლის ქურქელში ავათმყოფებს ახდევინებენ ფულს. იმ ფასს, რაც თვითონ დაწესებულებას უღირს ან კიდევ ყველა წამალში ერთგვარ მცირე გადასახადს.

კერძოდ მე იმ აზრისა ვარ, რომ წამალში ავადმყოფები იხდიდნენ წამლის ნამდვილ ღირებულობას, რომელიც, რასაკვირველია, გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაშიაც. როდესაც ავადმყოფი წამალს ილებს მუქთად, ის ამგვარ წამალს მუდამ ეჭვის თვალით უყურებს და ეკონომიურადაც არ ეკიდება. ისე რომ წამალზე ფასის დაწესებას ერთგვარი აღმზრდელი მნიშვნელობაც ექნება. რასაკვირველია, თუ ვინიცობაა ექიმმა იცის, რომ ავადმყოფი ძლიერ ღარიბია, მაშინ ამგვარ ავადმყოფს წამალი მუქთად უნდა მიეცეს.

ქსენონში ყოველ ახლად მიღებულ ავადმყოფისათვის უნდა იწერებოდეს ავადმყოფის ფურცელი (скорбная карточка).

ყოველი ქსენონი დღეში დაახლოვებით უნდა ილებდეს 60 ავადმყოფამდის.

თუ რა უნდა იხარჯებოდეს ამ გვარ თითო მცირე სამკურნალო ერთეულზე, ამის თქმა ეხლა ძრიელ ძნელია, რადგანაც ყველაფრის ღირებულობის საშინელი რყევაა ეხლა.

სამაზრო ქალაქებში უნდა იყოს დიდი 30—50 მუდმივი საწოლიანი საავადმყოფო. საავადმყოფოსთან უნდა იყოს ამბულატორიაც.

რუსეთის ერობებში მიღებულია, რომ ერთი მუდმივი საწოლი მოდიოდეს 1500—2000 მცხოვრებზე, მხოლოდ ქალაქებში 300—500 მცხოვრებზე.

## სომეხთა ცხოვრებიდან.

„ორიზონში" ვკითხულობთ შემდეგს".

„ადერბეჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ. ჯაფაროვმა გამოუგზავნა ჰაისტანის რესპუბლიკის წარმომადგენელს ა. ბ. ჯამალიანს წერილი, რომლითაც ატყობინებს, რომ ანდრანიკა თავისი ჯარით ჰაისტანის საზღვრებიდან შესულა ადერბეიჯანს და დაუჭერია ქალაქ შუშის გზაზე ასკერანის და ზანგეზურის მაზრის ერთი ნაწილი. სომეხთა მხრით ასეთი მოქმედება ჩაითვლება ადერბეიჯანისადმი მტრულ ნაბიჯად, რომელსაც მომავალში არ შეუძლიან რესპუბლიკებს შუა მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს. ბ. ჯაფაროვი, როგორც ადერბეიჯანის წარმომადგენელი თავის მთავრობის მხრით პროტესტს უცხადებს და წინადადებას აძლევს უკან დაიბაროს ადერბეიჯანის საზღვრებიდან ანდრანიკის სომხური ჯარები, წინააღმდეგ შემთხვევაში ამისთანა გამოსვლის შედეგის პასუხისმგებლობა განსაკუთრებით ჰაისტანის მთავრობას დაატყდება თავსა. ამ წერილის გამო ბ. ჯამალიანს უპასუხნია, რომ სომხურ კორპუსის უფროსის ბრძანების თანახმად, გენერალი ანდრანიკა და მისი ჯარი გამორიცხულ არიან სომხურ ჯარის კორპუსიდან და სიიდან, რის გამოც ანდრანიკა და მისი ჯარი არა სცნობენ ჰაისტანის მთავრობას და არც ემორჩილებიან. ჰაისტანის მთავრობას არავითარი კავშირი არა აქვს ანდრანიკასთან, მის ჯართან და ამიტომ არ შეუძლიან პასუხმგებელი იყოს მათი მოქმედების გამო.

— „მშაკი" სწერს: „სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ჯარებს ოცი დღეა რაც აუღიათ ქალაქი მოსული (ოსმალეთში). იმავე წყაროებიდან გავიგეთ რომ ვანიც აღებულია, და ინგლისის ჯარები წინ მიიწევენ.

— „მშაკის" სიტყვით ყარაბაღს (შუშის მაზრა) არ სურს ადერბეიჯანის სახელმწიფოს შეუერთდეს და თავის თავი დამოუკიდებლად გამოუცხადებია. განჯიდან გაგზავნილ სომეხთა დელეგაცია დაუპატიმრებიათ. რამდენიმე დღის შემდეგ გამოუშვიათ, რომელნიც განჯას ჩასულან და ამის შესახებ ადერბეიჯანის მთავრობისათვის მოუხსენებიათ. მოხსენებიდან სჩანს, რომ დამოუკიდებელ ყარაბაღს უკვე ჰყავს თავისი მთავრობა, რომელშიც თათრების მხრით შედის ლუთფალი ბეგ ბებუტოვი. ადერბეჯანის მთავრობას მოუთხოვნია, რომ საკითხი მშვიდობიანობით გადაიჭრას; წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალეთს სთხოვს დახმარებას, უკანასკნელ ამბებით მტკიცდება, რომ ასკერანი მართლაც დაუჭერიათ ყარაბაღლების მეომრებს.

— არმავირიდან „ორიზონს" ატყობინებენ, რომ იქ სომხების ცენტრალური კომიტეტი მოქმედებს და კარგადაც აწარმოებს საზოგადო საქმეებს, მაგრამ ამ დღეებში მოსულა ვიღაც გურგენ აიკუნი, კომუნისტი, და ბოლშევიკების ადგილობრივი კომიტეტის დახმარებით განუდევნია სომხის კომიტეტი, რის შემდეგ თავის თანამოაზრეებიდან ახალი კომიტეტი შეუდგენია. არმავირის სომხობამ არ იცნო ეს ახალი ძალადობით შედგენილი კომიტეტი.

### გერმანიის ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულ ქართველ ოფიცერთა სია.

### ოფიცრები.

1. გენერალ მაიორი დიმიტრი თოფურია, 2. პოდპოლკოვნიკი ორფიმი მიქაბერიძე, 3. კაპიტნები: სტეფანე კურაშვილი, 4. ირაკლი ალექ. მესხიშვილი, 5. ოთარ ფურცელაძე, 6. ვლადიმერ თოხოგიშვილი, 7. კონსტანტინე კონიაშვილი, 8. დავით ჰანტურია, 9. მიხაილ ანდრონიკაშვილი. 10. შტაბს-კაპიტნები: ლეონიდ მაჰუტაძე, 11. ვლადიმერ ლალიძე, 12 არტემ ჯიდობხია, 13. ილარიონ [illegible], 14. კონსტანტინე ადამაია, 15. ალექსანდრე გაგავა, 16. ალექსანდრე ამაშუკელი, 17. პორუჩიკები: გრიგოლ დოგანაძე, 18. ვლადიმერ გაჩეჩილაძე, 19. გრიგოლ ჯაფარიძე, 20. გიორგი შატილოვი, 21. პოდ-პორუჩიკები: პავლე ბიგავა, 22. ალექსანდრე მაჭავარიანი, 23. ივანე მიქელაძე, 24. ელიზბარ მაჭავარიანი, 25. ალექსანდრე თვარაძე, 26. ბიქტორ ჯაბუნია, 27. გონტრი თოფურია, 28. ლევან ყანჩელი, 29. სერგო პაიჭაძე, 30. პოდ-პორუჩიკები, ბორის მიხაილოვი, 31. ივანე გარსევანოვი, 32. პავლე კოსტანოვი, 33. იოსებ ვერბუნკი, 34. ივანე ზედგინიძე, 35. ბენედიკტე გაბუნია, 36. ალექსანდრე თუმანოვი, 37. დავით ვაჩნაძე, 38. შავლა ჩიქოვანი, 39. შავლა ფაღავნოვი, 40. ვლადიმერ ურუშაძე, 41. ლონგინ გოგიჩაიშვილი, 42. ალექსანდრე მძინაროვი, 43. დავით ხვედელიძე, 44. შავლა გოგინეიშვილი, 45. ვასილი კანდელაკი, 46. ალექსანდრე ჯორჯიკია. 47, სერგო მასხარაშვილი, 48, კონსტანტინე შავარდნაძე, 49, ისაკ დოლიძე, 50, ლეონიდ კვალიაშვილი, 51. ვლადიმერ მირიანოვი, 52. ვასილ ინჯია.

ჯარის-კაცნი: 1, მიხაილ აბაშიძე, 2. ხაიმ ათანელოვი, 3. იპოლიტე ალავიძე, 4. ნიკოლოზ ასათიანი, 5. ბესარიონ აფციაური, 6. კაზიმ ბეკურაშვილი, 7. იასონ ბარბაქაძე, 8. პორფირე ბაქრაძე 9. ნიკოლოზ ბეგაშვილი, 10. ვარლამ ბაგდავაძე, 11. ბესარიონ ბერიშვილი, 12. გედეონ ბუხაიძე, 13. გიორგი ბიბლიაშვილი, 14. კონსტანტინე ბერიძე, 15. სოლომონ ხატიაშვილი, 16. ანტონ ხელაია, 17. ზაქარია ხმალაძე, 18. ალექსი ხავტაზი, 19. მაქსიმე ხუპენია, 20. ზაქარია ხატიაშვილი, 21. ეგორი ხუნძაური, 22. ივანე ხაინდრავა, 23. კარაპეტ დავიდოვი, 24. ლუკა ჰიჰიძე, 25. პავლე დიხამინჯია, 26. პლ. დანელია 27. ისაკ ჯანაშვილი, 28. ესაკი დვალიშვილი, 29. კონსტანტინე დევასი, 30. იოსებ ჯარიაშვილი, 31. შიო დათუაშვილი, 32. სარდიონ გოგელია, 33. გრიგოლ გერგაია, 34. სილოვან გაგულია, 35. ვასილ გოცირიძე, 36. ალექსანდრე გურგენიძე 37. დავით გრატიაშვილი, 38. სიმონ გელაშვილი, 39. მიხეილ გოჩიტაშვილი, 40. პორფირე გაგუა, 41. ალექსი გიგუაშვილი, 42. ვლადიმირ იასიშვილი, 43. იონათან იზელი, 44. კალისტრატე კანკავა, 45. ალექსანდრე ქიცმარიშვილი, 46. სამსონ ქვარიანი, 47. ილია კაკაბაძე, 48. პლატონ ქაშიბაძე 49. დავიდ ქაუბაია, 50 ბესარიონ კალანდაძე, 51. რომან კევლიშვილი, 52. პავლე ქაჯილაშვილი, 53. ივანე კორშია, 54 დიონიზ ქარლავა, 55, მიხაილ ქელისაშვილი, 56. იოსებ კალანდაზი, 57. სიმონ სანაშვილი, 58. ფილიპე კაჩარავა, 59. ვასილი ქელეპტარაშვილი, 60. ივანე კენკვაძე, 61. სილოვან ქირქიტაძე, 62. კირილე კალანდაძე, 63. სამსონ კურცხალია, 64. ვიქტორ ლომია, 65. თეოფილე ლომთაძე, 66. საველი მუმლაძე, 67. სამსონ მერკვილაძე, 68. იპოლიტე მოდებაძე, 69. ნიკოლოზ მენდურაშვილი, 70. სიმონ მუმლაძე, 71. არსენ მოისწრაფიშვილი, 72. ივანე მიგენოიშვილი, 73. იასონ მარანიძე, 74. ალექსანდრე მახარაშვილი, 75. თომა მიქაძე, 76. გრიგოლ მანუჩარაშვილი, 77. გიორგი მელაძე, 78. შალვა მეგრელიძე, 79. მირონ მოხევიშვილი, 80. ვასილ მახარაშვილი, 81. გიორგი მაჭარაძე, 82. მორნი მაისურაძე, 83. ევგენი ნიჟარაძე, 84. ფილიპე ნადარაია, 85. აქსენტი ოდიშარია, 86. ფიოდორ ოჩაგავა, 87. ლუკა პატარაია, 88. კოსტა ფაცაცია, 89. იასონ ფიფია, 90. იოსებ პაპილაშვილი, 91. ბესარიონ ფანჩულაშვილი, 92. პავლე პავლეშვილი, 93. პორფირი ფარულავა. 94. იაკობ ფხაკაძე, 95. ისაი ფიცხვერაშვილი, 96. პარმენ ფერაძე, 97. დავიდ ფერაძე, 98. ერმალაი ფანჩულიძე, 99. ნიკოლოზ პაპუაშვილი, 100. პავლე რურნა, 101. გიორგი როციაშვილი, 102. პეტრე სულაური, 103. ნეოფიტ სულაბერიძე, 104, მელიტონ სვანიძე, 105. ალექსანდრე სოსიაშვილი, 106. გიორგი სასუკაშვილი, 107. ანდრია ძაგნიძე, 108. ზაქარია სეხნიაშვილი, 109. ალექსანდრე სისაური, 110. პლატონ შარაბიძე, 111. იაგორ სხირტლაძე, 112. ალექსი შერმადინ, 113. იულიონ ჰკონია, 114. ვასილ სეხნიაშვილი, 115. სიმონ შუხეინაშვილი, 116. გიორგი შაფათავა, 117. ნიკოლოზ შარიფაშვილი, 118. თედორე თარგამაძე, 119. სოფრომ ჩიკობავა, 120. ელიზბარ ჩიტანავა, 121. არონ ჩადრიშვილი, 122. იაკინთე ჩოხევი, 123. პეტრე ჩახხიანი, 124. დიმიტრი დათუნაშვილი, 125. გიორგი თათარაშვილი, 126. ვლადიმერ თებზაია, 127. დავით თაგურაშვილი, 128. ზაქარია ჩუტლაშვილი, 129, თედორე ტიმოფეევი, 130. დავით ვარანიძე, 131. არსენ ქოსელაშვილი, 132. საგიმ ვაშაყვაძე, 133. მიხაილ ცოცორია, 134. იოსებ ცაბაძე, 135. ალექსანდრე ციკორიშვილი, 136. ვლადიმერ ციხელაშვილი, 137. კონსტანტინე ზანდუკოვი, 138. თეოფილე წურწუმია, 139. დავით ცალუგელაშვილი, 140. დიმიტრი ჯავახიშვილი, 141. სოლომონ ბუგაძე, 142. ალექსი ბარდანაშვილი, 143. გერასიმე ერია, 144. ვასილი ეზიტაშვილი, 145. კონსტანტინე ელაშვილი, 146. ვლადიმერ რუხაძე, 147. არტემ ალუხანაშვილი, 148. ვასილი ცოტოიძე, 149. გაბრიელ ცაცკიძე, 150. დავით ჯანჩალია, 151. სევერიან დათუნაშვილი.

30. იოსებ ჯარაშვილი, 66. საველე მუმლაძე, ავათმყოფობის გამო ბუქარესტის ლაზარეთში იქმნენ დატოვებულნი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### თავრიზი და მოსული

პეტროგრადის გაზეთში „ვეჩერნიე ოგნი" (სუვორინის ვეჩ. ვრემიას გაგრძელება) სამხედრო მიმოხილვის 22 ივლისის ნომერში მოთავსებულია შემდეგი სტრიქონები:

„რადიოტელეგრაფი იუწყება ინგლისის ჯავშნოსნების თავრიზში შესვლას და ბაღდადის ზემოდ მდ. ტიგროსზე მოსულის დაკავებას. თავრიზის დაკავებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სპარსეთიდან ჩვენი წასვლის შემდეგ ინგლისელებს გადაუწყვეტიათ სპარსეთზე თავის მფარველობა გაავრცელონ. მოსულის დაკავება მოწმობს, რომ ინგლისლებს პირდაპირი კავშირი მოუწყვრიგებიათ მესოპატამიასა და სპარსეთში. მოქმედ ჯარების მთელ ფრონტზე." საიდან არის მიღებული ეს რადიოდეპეშა, სამხედრო მიმომხილველი არ იუწყება.

### სკოროპადსკის გადადგომა.

4 ივლისის თარიღით სოჩელ გაზ. „სვაბოდნოე სლოვოში" მოთავსებულია ცნობა სკოროპადსკის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. „ნოვოსტი დნია" იუწყებათ, ბეჭდავს გაზეთი, რომ გერმანეთის საელჩოსთან ახლო მდგომ წრეებში დაბეჯითებითი ხმებია გავრცელებული უკრაინის ჰეტმანის სკოროპადსკის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. უკრაინის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, და განსაკუთრებით კი მემამულეთა წარმომადგენლებთან, ამის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს. გერმანიის საელჩოს ცნობით უკრაინაში კრიზისი აუცილებელია. გენერალ სკოროპადსკის აგრძნობინეს, რომ მისი ბერლინში და ვენაში გამგზავრება ნაადრევია.

### ენვერ-ფაშის განზრახვა.

„ტრუდოვოე ზნამია" იუწყება: „ბერლინიდან მიღებულ ა. ოგონჯანიანის დეპეშის თანახმად, ენვერ-ფაშას განუზრახავს არარატის რესპუბლიკის დაპყრობა. ამ მიზნისათვის სურს ისარგებლოს, როგორც ოფიციალური მიზეზით, იმ შემთხვევით, რომ ამ ხანად ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინის გზის ლიანდაგზე სომხების შეიარაღებული ბრბოები თარეშობენ, რომელიც უნდა გაიფანტოს სომხეთის მთავრობის ნებართვით.

## გამოსადეგი ცნობები

## სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

### კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თბილისიდან | დილის | 8 ს. | 28 წ. |
| | გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | 14 „ |
| | თბილისში „ | საღამოს | 5 „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 „ | 58 „ |
| | გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 „ | 24 „ |
| | თელავში „ | საღამოს | 5 „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 „ | 42 „ |
| | გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 „ | 15 „ |
| | წნორის წყალში მიდის | „ | 6 „ | 20 „ |

## განცხადებები

ამა წლის 15 ივლისს დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 76686 50 მანეთისა. 3—1.

გენერალ მაიორი ლახოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: 1. მოწმობა, მიღებული რუსულ ნაციონალურ საბჭოდან წასვლის შესახებ; 2. ასეთივე მოწმობა საგუბერნიო კომისარიატიდან მიღებული; 3. მიწერილობა ყუბანის ატამანთან გამოცხადების შესახებ; 4. მოწმობა № 2408 სამხედრო მინისტრისა ვინტოვკის გადატანის შესახებ; 5. მოწერილობა 1 რანგის კაპიტანის ვერხოვსკის ფლოტის პორტის უფროსთან თუაფსეში და ნოვოროსისკში წასვლის შესახებ. ყველა ზემო აღნიშნული დოკუმენტები გაუქმებულად ითვლება. 3—2

ალექსანდრე გრიგოლის ძე გორგიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა რევოლვერის ტარების შესახებ, მიღებული თბილისის საგუბერნიო კომისარისგან ამა წლის 3 აგვისტოს № 1863 და პასპორტი მიღებული დუშეთის ქალაქის სამმართველოდან 1912 წ. ნოემბერში. 3—2.

კ. ი. მოსკოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პიროვნების მოწმობა № 244, მიღებული 1915 წელს. 3—1

კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა ამით აცხადებს, რომ იქ შევიდა თხოვნა ქ. თბილისში, გრიბნის ქუჩა, № 9 მცხოვრების სერგი ეფიმისძე შჩერბაკოვის თხოვნა მის ცოლთან ანასტასია იოანეს ასულ შჩერბაკოვთან განქორწინების შესახებ. ჯვარდაწერილი არიან ყარსის ფერისცვალების ეკლესიაში 1912 წ. 25 იანვარს. მთხოვნელის განცხადებით, ანასტასია შჩერბაკოვა არა სჩანს 1912 წლის ივნისიდან.

ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად იმყოფება შჩერბაკოვა, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას, ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის ვადაში.

ანტონ ოქროპირისძე ყურაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული თბილისის პოლიცმეისტერიდგან 1911 წ. 11 აპრილს.

დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 72655 120 მანეთისა.

ანასტასია გედევანიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რკინის გზაზე მიმოსვლის უფასო ბილეთი.